


ზეონაგ ქარშმიძე, ვერა ბეჭაიძა



პერლიტი მშენებლობაში

„ტექნიკური უნივერსიტეტი“

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ზემოადგინული მარშმიმა, ვერა ბერძია

პრესტიჟი მშენებლობაში



დამტკიცებულია სტუ-ს
სატრანსპორტო და მანქანათ-
მშენებლობის ფაკულტეტის
სარედაქციო-საგამომცემლო
ჯგუფის მიერ

თბილისი 2012

უაკ (UDC) 691.327.3

ქ.

ნაშრომში განხილულია ფარაგნის საბადოს პერლიტის გამოყენების შესაძლებლობები თანამედროვე მშენებლობაში, ქვევნაში ენერგოდეფიციტის პირობებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მასალებს, რომლებიც მაღალეფებზე თბოსაიზო-ლაციო თვისებებით გამოირჩევა. ასეთად მოიაზრება, როგორც მსუბუქი, ასევე აფუქებული პერლიტის ზემსუბუქი შემგვებები.

საქართველოში პერლიტის შემვსებზე კვლევები, მისი დიდი მარაგისა და საუკეთესო ხარისხის გამო, ჯერ კიდევ წინა საუკუნეში დაიწყო.

კვლევების განახლება განაპირობა შპს სამთო კომპანია „ფარავანპერლიტ“-ის ჩამოყალიბებამ, რომლის ბაზაზეც დაბა გაჩიანში აშენდა და ფუნქციონირებს აფუქებული პერლიტის საწარმო. ეს იძლევა პერლიტის გამოყენების შესაძლებლობას, მსუბუქი და ზემსუბუქი პერლიტობებზე ბინების წარმოებაში.

პერლიტის საფუქველზე მიღებული თბოსაიზოლაციო მსუბუქი და ზემსუბუქი ბეტონების სიმკვრივე 400 – 600 კგ/მ³-ია. ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც შემომზღვდული კონსტრუქციებში, ასევე გადახურვის დასათბუნებლად, იატაკის შემვსებად და სხვა. პერლიტობებზენის ნაგებობებში ყოველ კვადრატულ მეტრზე იზოგება 2 ლ-ზე მეტი საწვავი. გარდა ამისა პერლიტობებზენის გამოირჩევა საუკეთესო ბეტონის თვისებებითაც.

რეცენზენტი: აკად. დოქტ. ა. ნადირაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ე. ზარიძე

საგამომცემლო სახლი “ჩოხი”

ISBN978-9941-0-4474-8

<http://www.gtu.ge/publishinghouse/>

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვ.) არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური), არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლების დარღვევა ისჯება კანონით.

შ ა ს ა გ ა ლ ი

უკანასკნელ წლებში მშენებლობის სწრაფი ტემპებით განვითარება მოითხოვს, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, გადაჭრილ იქნას ისეთი უმნიშვნელოვანები პრობლემები, როგორიცაა შენობა-ნაგებობების მასის შემცირება, მათი თბობგერასაიზოლაციო და სეისმომედეგი თვისებების გაუმჯობესება, რაც, თავის მხრივ, მკვეთრად დაზოგავს მატერიალურ რესურსებს და მოგვცემს მნიშვნელოვან ეკონომიკურ ეფექტს.

მშენებლობის ღირებულების შემცირების და მისი დაჩქარების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გზაა შენობის მზიდი და შემომზღუდავი კონსტრუქციების მასის შემცირება. ეს კი შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა სახის მსუბუქი ბეტონისა და რკინაბეტონის გამოყენებით.

მძიმე ბეტონის მსუბუქით ჩანაცვლება, როგორც უკვე ავღნიშნეთ, იწვევს შენობის საკუთარი მასის შემცირებას, რის გამოც მცირდება დატვირთვა საძირკველზე, შენობა უფრო მოქნილი ხდება. ეს კი მისი სართულიანობის გაზრდის საშუალებას იძლევა.

მსუბუქ ბეტონებსა და შემვსებებს უსსოვარი დროიდან იყენებდნენ. ამის ნათელი მაგალითია, ჯერ კიდევ ძველ რომში აგებული კოლიზეუმი და პანთეონი, სადაც გამოყენებული იქნა მსუბუქი, ფორიანი შემვსებები – ტუფი და კემზა.

საქართველოში, გასული საუკუნის 50-იან წლებში, მსუბუქი ბეტონისაგან აშენებულ იქნა მარქსიზმის კვლევითი ინსტიტუტის ყოფილი ფილიალი, დინამოს სტადიონი, მთავრობის სასახლე და ა.შ.

ცნობილია რომ, საზღვარგარეთის ქვეყნებში გამოყენებული ბეტონების ძირითადი წილი მოდის მსუბუქ ბეტონებზე. მას ფართოდ იყენებენ, როგორც მონოლითურ, ისე ასაწყობ მშენებლობებში. ამერიკის შეერთებულ შტატებში, გასული საუკუნის 70-იან წლებში, 200-მდე საწარმო ამზადებდა მსუბუქ შემვსებებს. აქედან 66 საწარმო კერამზიტს; 24 აფუებულ წილას, ხოლო დანარჩენი კი სხვადასხვა სახის ხელოვნურ, ფორიან შემვსებებს. უცხოეთში მსუბუქი ბეტონები გამოიყენება, როგორც მზიდი, ასევე შემომზღვდავი კონსტრუქციების, კერძოდ: სვეტების, რიგელების, გადახურვის და საკედლე პანელების, ტიხოების, ხიდების, გზახიდებისა და სხვა საპასუხისმგებლო ნაგებობებისათვის ნაკეთობების დასამზადებლად. ეკონომიკური ეფექტი კი შენობა-ნაგებობების მასის შემცირების, საარმატურე ფოლადის დაზოგვის, თბოფიზიკური და აკუსტიკური მახასიათებლების გაუმჯობესების ხარჯზე მიიღწევა.

მსუბუქი ბეტონითაა აგებული მეოცე საუკუნეში, ქალაქ ჩიკაგოში 67 სართულიანი, ხოლო ქალაქ ჰიუსტონში 52 სართულიანი შენობები. ასევე ეფექტურად იყენებენ მსუბუქ ბეტონებს შეედეთში, ნორვეგიაში, ფინეთში, ინგლისში, დანიაში, გერმანიაში, ჩეხეთში, პოლონეთში, ბელარუსში და ა.შ.

სხვადასხვა სახის მსუბუქი ბეტონის გამოყენება მარტო სართულშეა კონსტრუქციებში, ამცირებს შენობის მასას 16%-მდე, ხოლო ამ სახის ბეტონით საკედლე პანელებისა და ტიხრების დამზადება შესაძლებლობას იძლევა გავზარდოთ ნაკეთობების ზომები, გავხადოთ მშენებლობა მაქსიმალურად მექანიზებული და ამასთანავე შევამციროთ სატრანსპორტო ხარჯები. გარდა ამისა, მკვეთრად მცირდება საძირკვლის ზომებიც. კონსტრუქციული მსუბუქი ბეტონის მასა 25-30%-ით ნაკლებია ჩვეულებრივი, მსუბუქი ბეტონის მასაზე. 25-30 კლასის მსუბუქი ბეტონის ზოგადი სიმკვრივე 1700-1900 კგ/მ³-ია, 15-25-ისა 1500-1700 კგ/მ³, ხოლო 10-15-ისა მერყეობს 1200-1600 კგ/მ³-ის ფარგლებში. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ფართო მოხმარების მსუბუქი კონსტრუქციებისათვის 10-25 კლასის ბეტონი სავსებით საკმარისია. პრაქტიკიდან ცნობილია, რომ საუკეთესო ეკონომიკური ეფექტი მიიღწევა კონსტრუქციებში მსუბუქი ბეტონის კომპლექსური გამოყენებით. ამ დროს მცირდება შრომითი დანახარჯები დაახლოებით 16%-ით, ბეტონის ხარჯი 12%-ით, ცემენტის 8%-ით, საარმატურე ფოლადის 17%-ით, ტრანსპორტის ხარჯები 2,5%-ით. ფრიად მომგებიანია მსუბუქი ბეტონის გამოყენება კარგასულ ნაგებობებშიც. ადარაფერს ვამბობთ სასოფლო მშენებლობაზე, სადაც მსუბუქი ბეტონი საუკეთესო მასალას წარმოადგენს.

საქართველოში მსუბუქი ბეტონის წარმოების განსავითარებლად ყველა საჭირო პირობა არსებობს. კერძოდ, აქ

მოიპოვება დიდი რაოდენობის საჭირო ნედლეული სხვადა-
სხვა სახის მსუბუქი შემცსებების მისაღებად. მსუბუქ ბეტონს
მიეკუთვნება 1800 კგ/მ³-მდე ზოგადი სიმკვრივის (მოცულო-
ბითი მასის), ყველა სახეობის ბეტონი, რომელთა დასამზა-
დებლად გამოყენებულია სხვადასხვა ფორიანი შემცსებები:
ხელოვნური: კერამზიტი, აგლოპორიტი, აფუებული პერლიტი,
წილის პემზა და სხვა; ბუნებრივი: ტუფი, პემზა, ვულკანური
წილი, ვულკანური ფერფლი და სხვა; წარმოების ნარჩენები
– საწვავის წილები, ნაცარი, მერქნის ნარჩენები და ა.შ.
ხელოვნური ფორიანობის შექმნის ხერხის მიხედვით
განასხვავებენ მსუბუქ ბეტონს ფორიან შემცსებებზე,
მსხვილფოროვან (უქვიშო) და უჯრედოვან ბეტონებს.

სიმკვრივის მიხედვით განასხვავებენ 300-დან 600 კგ/მ³-
მდე ზოგადი სიმკვრივის მსუბუქ თბოსაიზოლაციო ბეტონს;
600-დან 1000 კგ/მ³-მდე ზოგადი სიმკვრივის თბოსაიზოლა-
ციო-კონსტრუქციულ მსუბუქ ბეტონს და 1000-დან 1800
კგ/მ³-მდე კონსტრუქციულ ბეტონს.

თბოსაიზოლაციო სამშენებლო მასალები წარმოადგენენ
ფორიან მასალას, შემდგარს „კარკასისა“ და ჰაერისაგან.

მყარი კარკასი უნდა შედგებოდეს ნივთიერებისაგან,
რომელთაც აქვთ არა კრისტალური, არამედ ამორფული
სტრუქტურა, ვინაიდან კრისტალური მასალა კარგი თბოგამ-
ტარია. მაგალითად, კვარცის კრისტალის თბოგამტარობის
კოეფიციენტი ოპტიკური ღერძის გასწვრივ 11,7, ხოლო
ღერძის მართობულად კი 6,2 კგალ/მ³ C.სთ-ია. თუ გამოვი-

ყენებთ მინისებრი აგებულების მასალას, ანუ მასალას, რომელიც მიიღება ნადნობის სწრაფი გაცივებით, მაშინ ეს კოეფიციენტი დაახლოებით 10-ჯერ მცირდება. პაერი დანარჩენ გარემოსთან შედარებით ყველაზე ნაკლებად თბოგამტარია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ უპაერო სივრცეს. მშრალი პაერის თბოგამტარობის კოეფიციენტი (წვრილ ფორებში) 0,02 კკალ/მ.⁰С.სთ-ია. უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ მოყვანილი კოეფიციენტი მნიშვნელოვნად იზრდება პაერის ფენის ზრდასთან ერთად. სწორედ ამიტომ ცდილობენ, რომ თბოსაიზოლაციო მასალების ტექნოლოგიაში მიღწეულ იქნას უფრო მეტი ფორიანობა.

პრაქტიკაში ფორიანი სტრუქტურის შესაქმნელად სხვადასხვა მეთოდი არსებობს. შესაძლებელია მოხდეს წყლის დიდი რაოდენობით გამოყენება და შემდგომში მისი სწრაფი აორთქლებით წარმოიქმნება ფორები გამყარებულ ნაკეთობაში. ფართოდ იყენებენ აგრეთვე აირწარმომქმნელ და ქაფწარმომქმნელ დანამატებს, მსუბუქ შემცვებებს და ა.შ.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება სტრუქტურაში ფორების თანაბარ განაწილებას და მათ ტიპს. განასხვავებუნ ფორების ორ ტიპს: დახურულს და ლიას. უმჯობესია ნაკეთობაში წარმოიქმნას წვრილი, თანაბრად განაწილებული, დახურული ფორები, რადგან მათში ვერ აღწევს წყალი და სწორედ აქ ახერხებს პაერი საუკეთესოდ შეასრულოს თბოსაიზოლაციო ფუნქცია. დახურულფორებიანი სტრუქტურა თავის მხრივ, განასხვავებს ზემოაღნიშნულ ნაკეთობებს ბეგრასაი-

ზოლაციო ნაკეთობებისაგან, რომლებიც გარკვეული რაოდენობით დია ტიპის ფორებს შეიცავენ. ეს პრინციპები განსხვავება მხვედველობაში უნდა იქნას მიღებული, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში ბგერა და თბოსაიზოლაციო ნაკეთობების დამზადება ერთი და იგივე ნედლეულის ბაზაზე წარმოებს.

თანამედროვე მშენებლობაში ძირითადად ორი მოთხოვნაა გასათვალისწინებელი – კონსტრუქციების საიმედოობის უზრუნველყოფა და მათი მასალათტეგადობის შემცირება. ამ პრობლემის გადაჭრა, ახალი მასალების შექმნასთან ერთად, მათი მახასიათებლების გაუმჯობესების გზითაცაა შესაძლებელი. აქ კი დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ მახასიათებლების შეფასების მეთოდების სრულყოფას, რომელთა საშუალებითაც, მიღებული უტყუარი ინფორმაციის საფუძველზე, შესაძლებლობა მოგვეცემა უფრო სრულად გამოვიყენოთ ბეტონისა და რკინაბეტონის სიმტკიცე და დეფორმაციული თვისებები, მათ შორის მსუბუქი ბეტონისაც.

მოცემული ნაშრომი ფარავნის ტბის მიდამოების პერლიტისაგან მსუბუქი ბეტონების მიღების შესაძლებლობას და ამ ბეტონების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების კვლევას ეძღვნება.

თავი I

**ბუნებრივ ფორმის შემცველებები და მსუბუქ გენტონებზე
ჩატარებული პლევების ანალიტიკური მიმოხილვა**

ჩვენს მიერ აღნიშნული იყო, რომ ფორმის შემცვებებზე დამზადებული მსუბუქი ბეტონი გამოიყენება, როგორც შემომზღვდავ, ასევე მზიდ კონსტრუქციებში შენობა-ნაგებობების საკუთარი მასის შესამცირებლად. ამიტომ, სიმტკიცესთან ერთად ამ სახის ბეტონების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია მისი სიმკვრივეც. მსუბუქი ბეტონის ხარისხი და გამოყენების ტექნიკურ-ეკონომიკური უფასჩურობა განისაზღვრება მისი ზოგადი სიმკვრივისა (მოცულობითი მასა) და სიმტკიცის რაციონალური შეხამებით. ამ ორ მახასიათებელზეა დამოკიდებული შენობების კონსტრუქციების მასა და ზომები. ნაკეთობების ზომების ზრდა და მასის შემცირება, როგორც ცნობილია წარმოადგენს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ტექნიკის ზრდისა და მშენებლობის ღირებულების შემცირების მეტად მნიშვნელოვან წინაპირობას.

მსუბუქი ბეტონის ზოგადი სიმკვრივე (მოცულობითი მასა), სიმტკიცე და სხვა თვისებები დამოკიდებულია გამოყენებული შემცვებების სახეზე და რიგ ფაქტორებზე, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვნად მსუბუქი შემცვებების მარცვლოვანი შედგენილობა, შემკვრელისა და წყლის ხარჯი (წყალცემენტის ფარდობა) და ბეტონის ნარევის გამკვრივების მეთოდი გვევლინება.

ფორიან შემვსებებს თავიანთი სტრუქტურის თავისებულების გამო, ახასიათებთ ცემენტის ჩვეულებრივი დუღაბის სიმტკიცეზე მნიშვნელოვნად დაბალი სიმტკიცე. ამიტომ მათი გამოყენება ბეტონში იწვევს სიმტკიცის საგრძნობ შემცირებას ჩვეულებრივ მძიმე ბეტონებთან შედარებით. ეს ხდება მით უფრო მეტი ხარისხით, რაც მეტია შემვსებების შემცველობა ბეტონში და ნაკლებია მათი სიმკვრივე.

მსუბუქი ბეტონის სიმტკიცეზე დიდ გავლენას ახდენს მსხვილი ფორიანი შემვსებების შემცველობა, ანუ შემვსების კონცენტრაცია, ე.ი. მსუბუქი შემვსების მოცულობა 1მ³ ბეტონში. შემვსების კონცენტრაციის გავლენა დამოკიდებულია მისი სიმტკიცისა და დუღაბის სიმტკიცის თანაფარდობაზე [4]. ჩვეულებრივ, კონსტრუქციულ მსუბუქ ბეტონში დუღაბი საკმარისად მაღალი სიმტკიცისაა. შემვსების კონცენტრაციის ზრდა იწვევს ბეტონის სიმტკიცის კლებას. ბეტონისა და დუღაბის სიმტკიცეების განსხვავებისას კონსტრუქციულ-თბოსაიზოდაციო მსუბუქ ბეტონში, მაქსიმალურ სიმტკიცეს აღწევენ შემვსებების გარკვეული ოპტიმალური კონცენტრაციისას.

რაც შეეხება საკუთრივ ცემენტის ქვისა და ბეტონის თვისებების ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული როლი ენიჭება მის ფორიანობას. ამიტომ ამ საკითხის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს. ფორები თამაშობენ ძირითად როლს ცემენტის ქვისა ბეტონის გარემოსთან ურთიერთქმედების დროს, განსაზღვრავენ რა მასალის ისეთ თვისებებს,

როგორებიცაა: შედწევადობა, თბოგამტარობა, წყალშთანთქმა, და ა.შ. ამით აიხსნება ის დიდი ინტერესი, რომელიც გამოხატულია ბეტონის ფორიანობის შესწავლისადმი. პვლევების სფერო მოიცავს ფორების წარმოშობის მექანიზმს, მათ განაწილებას, ზომებს, ასევე დამოკიდებულებას ბეტონის ფიზიკურ და მექანიკურ თვისებებს შორის [8].

მსუბუქი ბეტონის მნიშვნელოვანი თვისებაა თბოგამტარობა, რის საფუძველზეც ხდება შემომზღვდული კონსტრუქციების სისქის განსაზღვრა. მსუბუქი ბეტონის თბოგამტარობა იზრდება მისი სიმკვრივის ზრდის შესაბამისად. მსუბუქი შემცვების შემცველობის ზრდა, მისი სიმკვრივის შემცირება იწვევს მსუბუქი ბეტონის თბოგამტარობის შემცირებას, ე.ი. უმჯობესდება მისი თბოფიზიკური თვისებები. ამასთან ერთად მცირდება ბეტონის სიმტკიცეც; ამიტომ უნდა მოიძებოს საწყისი მასალებისა და ბეტონის თვისებების ისეთი ოპტიმალური თანაფარდობა და ისე შეირჩეს ბეტონის შედგენილობა, რომ მისი ჩვენთვის სასურველი თვისებები მიღებულ იქნეს ცემენტის მინიმალური ხარჯით.

ფორიან შემცვებებში მნიშვნელოვანი წყალშთანთქმის გამო, ბეტონის ნარევის ცემენტის დუღაბიდან გამოიწოვება წყლის ნაწილი. ეს პროცესი უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს ბეტონის ნარევის დამზადებიდან 10-15 წუთის განმავლობაში; ამასთან, შემცვების მიერ შთანთქმული წყლის რაოდენობა დამოკიდებულია ბეტონის ნარევის შედგენილობაზე. იგი იზრდება ძვრად ნარევებში წყალ-

ცემენტის დიდი მნიშვნელობებისას და მცირდება ხისტ ბეტონში წ/ც-ის მცირე სიდიდისას. ჩვეულებრივი ფორიანი შემგვებების წყალშთანთქმა ბეტონის ნარევში 30-50%-ით ნაკლებია მის წყალშთანთქმაზე წყალში, რადგან პირველზე გავლენას ახდენს ცემენტის წყალშეკავების უნარი [3].

რაც უფრო მეტია შემგვების წყალმოთხოვნა და ხარჯი, მით მეტია წყლის ხარჯი ბეტონის ნარევის გარკვეული ძვრადობის მისაღებად. ფორიანი შემგვების წყალშთანთქმა მნიშვნელოვნად მოქმედებს აგრეთვე ბეტონის ნარევის წყალშეკავების უნარზე, ამცირებს სხმული და ძვრადი ნარევების მიდრეკილებას განშრევებისადმი და ნარევების მაღალი წყალცემენტის ფარდობის გამოყენების საშუალებას იძლევა. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს კონსტრუქციულ-თბოსაიზოლაციო მსუბუქი ბეტონის მისაღებად.

იმის გამო, რომ ფორიანი შემგვებები ხასიათდებიან მეტი ტენცვლით ცემენტის ცომთან, ვიდრე მკვრივი შემგვებები, ზემოქმედებას ახდენენ მისი სტრუქტურის წარმოქმნის პროცესებზე [5]. პირველ ეტაპზე ფორიანი შემგვებები გამოწოვენ რა ტენს, ხელს უწყობენ ცემენტის ქვის უფრო მკვრივი და მტკიცე საკონტაქტო შრის მიღებას. მეორე ეტაპზე წყლის რაოდენობის შემცირებისას ცემენტის ქვაში ცემენტის პიდრატაციის გამო, ფორიანი შემგვებები უკან აბრუნებენ ადრე შთანთქმულ წყალს, რითაც ქმნიან ხელსაყრელ პირობებს ცემენტის პიდრატაციის მიმდინარეობისათვის და ცემენტის ქვაში ამცირებენ შეკლების მოვლენას.

ნებს [4]. მსუბუქი შემვსებების ზედაპირის მაღალი ხორკლიანობა უზრუნველყოფს ცემენტის ქვისა და შემვსების კარგ შეჭიდებას, ხოლო შემვსებების მნიშვნელოვანი დეფორმაციულობა ხელს უშლის მიკრობზარების გაჩენას.

ყოველივე ამის შემდეგ ფორიან შემვსებებზე დამზადებულ მსუბუქ ბეტონში ცემენტის ქვას შეიძლება ჰქონდეს საკმარისი სიმკვრივე და ერთგვარობა, რაც არსებითად ამცირეს მის შედწევადობას, რითაც იზრდება მდგრადობა ზოგიერთ აგრესიულ გარემოში და შესაბამისად ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციების ხანგამძლეობა.

ფორიანი მასალების თბოგამტარობა საგრძნობლად მატულობს მისი დატენიანების შემთხვევაში, ვინაიდან წყლის თბოგამტარობის კოეფიციენტი $0,5$ კკალ/მ.⁰C.სთ-ია, რაც 25 -ჯერ აღემატება ჰაერის თბოგამტარობის კოეფიციენტს [1]. რაც შეეხება გაყინულ წყალს, უნდა აღინიშნოს, რომ მისი თბოგამტარობის კოეფიციენტი 2 კკალ/მ.⁰C.სთ-ია, ანუ 4 -ჯერ მეტია, ვიდრე წყლის. სწორედ აქედან გამომდინარე უდიდეს მნიშვნელობას იძენს ტენიან გარემოში მომუშავე ნაკეთობების დაცვა დატენიანებისაგან. თბოსა-იზოლაციო მასალების სიმტკიცე კუმშვაზე საკმაოდ დაბალია და იცვლება 1 -დან 25 კგ/სმ²-მდე. შედარებით უფრო მტკიცე მასალები, რომელთა სიმტკიცის ზღვარია 50 , 75 , 100 კგ/სმ² შესაძლებელია გამოყენებულ იქნას, როგორც მზიდი კონსტრუქციები; აგრეთვე სიმტკიცის ძირითადი მახასიათებელია (მთელი რიგი ნაკეთობებისათვის) სიმტკიცე

დუნგაზე. არაორგანული მასალებისათვის იგი იცვლება 4-დან 20 კგმ/სმ²-მდე, როგორც ექსპლუატაციისას, ასევე მონტაჟის და გადაზიდვის დროს [8].

ნაკეთობის დატენიანება, რომელიც პაურში არსებული ტენის საშუალებით ხდება, იწვევს არამარტო მისი თბოსაიზოლაციო თვისებების დაქვეითებას, არამედ ამცირებს მის ხანძედებობას. ლოგიკურია, ნაკეთობები, რომელთაც დახურული ფორები გააჩნიათ უფრო მეტად არიან დაცული დატენიანებისაგან. დანარჩენი მასალებისათვის კი წყალშთანთქმის შემცირება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს. წყალშთანთქმის შესამცირებლად კი საჭიროა მასალის დამზადებისას ნარევში შეყვანილ იქნას სხვადასხვა ჰიდროფონული დანამატები, რომლებიც დღეს უხვი რაოდენობითაა სხვადასხვა უცხოური ფირმების მიერ შემოტანილი სამშენებლო ბაზარზე.

როგორც აღვნიშნეთ, მსუბუქ ბეტონებში გამოიყენება ბუნებრივი და ხელოვნური ფორიანი შემვსებები. ბუნებრივი შემვსებები გვხვდებიან ფხვიერი ნატეხებისა ან მასიური მთის ჯიშების სახით, რომლებიც მოითხოვენ სათანადო გადამუშავებას (მსხვრევა, დაფქა, გაცრა და ა.შ.).

ბუნებრივი შემვსებები წარმოშობით ვულკანურ და დანალექ ქანებს წარმოადგენენ. ვულკანური წარმოშობის ბუნებრივ ფორიან შემვსებებს განეკუთვნება: პემზა, ვულკანური წილა, ტუფი და სხვა.

პემზა: ვულკანური წარმოშობის მინისებრი ფორიანი

სტრუქტურის ქანია. წვრილკრისტალური, ფხვიერი, ღრუბლისებრი ან ბოჭკოვანი ადნაგობით, შედგება მჟავე გულკანური მინისაგან. პემზა ბუნებაში მოიპოვება თეთრინაცრისფერიდან ყავისფერამდე. სტრუქტურის მიხედვით, ასევე ფიზიკურ-მექანიკური თვისებებით და გეოლოგიური ასაკით პემზები იყოფა ანისურ და ლითონიდურ პემზებად.

ანისის პემზა უფრო ფორიანი მასალაა, მსუბუქია და გამოირჩევა დაბალი სიმტკიცით. იგი შედგება წვრილბუჭულოვანი ღრუბლისებრი ან ბოჭკოვანი სტრუქტურისაგან; ფორების ზომები მერყეობს მიკრონის მეათედებიდან 2-3 მმ-მდე. ლითონიდურ პემზას აქვს უფრო მკვრივი აგებულება, ჭავლური, ფოროვანი სტრუქტურა.

პემზა მჟავე ქანია. იგი შედგება ამორფული კაჟმიწისაგან (SiO_2) 67-დან 72%-მდე, თიხამიწისაგან (Al_2O_3) – (13-18%) და ტუტებისაგან (5-12%). ნაკარი და ზოგადი სიმკვრივეები პემზის ღორლისა მერყეობს 400-დან 600 კგ/მ³-მდე, ხოლო ქვიშის 600-1100 კგ/მ³-მდე. ეს მასალა ძირითადად გამოიყენება თბოსაიზოლაციო და კონსტრუქციულ-თბოსაიზოლაციო 10–75 კგ/სმ² სიმტკიცის (მარკის) მქონე ელემენტებში, რომელთა ზოგადი სიმკვრივე მერყეობს 700-დან 1200 კგ/მ³-მდე, ლითონიდური პემზა გამოიყენება კონსტრუქციულ ელემენტებში მარკით 100–300 კგ/სმ², ხოლო მოცულობითი მასა კი 1400-1800 კგ/მ³-მდე.

პემზის საბადოები ფართოდაა გავრცელებული სომხეთში, ჩრდილოეთ კავკასიაში, კამჩატკასა და საქართველოში.

საქართველოში პეტბის ერთ-ერთი მძღვანელი საბადოა დმანისის რაიონში. იგი დია-რუხი ფერისაა, მისი ფორმანობა 40%-ია, ზოგადი სიმკვრივე 500 კგ/მ^3 ; ქიმიური შედგენილობა %-ობით: SiO_2 - 61; Al_2O_3 - 20; Fe_2O_3 - 3; CaO - 3; MgO - 0,98; SO_3 - 0,85; $\text{K}_2\text{O} + \text{Na}_2\text{O}$ - 3; n.n.n - 6%. მისი გამოყენებით შეიძლება მივიღოთ $900 - 1100 \text{ კგ/მ}^3$ ზოგადი სიმკვრივისა და $5 - 10 \text{ მმ}$ სიმტკიცის კონსტრუქციულ-თბოსაიზოლაციო მსუბუქი ბეტონები. პეტბა ბუნებაში გვხვდება ქვიშის, ლორდის და უფრო მსხვილი ნატეხების სახით.

გულკანური წილა: წარმოადგენს ამოფრქვეული თხევადი მაგმის სწრაფი გაცივების პროდუქტს. იგი ფორმიანი ქანია, რომელიც შედგება გულკანური მინისაგან, ფერით ნაცრის-ფერიდან შინდისფერამდე. ბუნებაში გვხვდება ქვიშის, ლორდის და დიდი ლოდების სახით, რომელთა გადამუშავება წარმოებს ნაწილობრივი მსხვრევითა და დახარისხებით. სტრუქტურა ძირითადად მსხვილმარცვლოვანია. ზოგადი სიმკვრივე ქვიშისა $600 - 1200 \text{ კგ/მ}^3$, ლორდისა - $400 - 900 \text{ კგ/მ}^3$, ფორმიანობა 40-60%-ია.

გულკანური წილის დიდი საბადოებია საქართველოში: ახალქალაქის, ნინოწმინდის, ბორჯომის და წალკის რაიონებში. მათი მარაგი შეადგენს $200 \text{ მლნ } \text{ მ}^3$ -ს. ოკამის გულკანური წილის ქიმიური შედგენილობა %-ით არის: SiO_2 - 53; Al_2O_3 - 14; Fe_2O_3 - 11; CaO - 7; MgO - 4; SO_3 - 0,78; $\text{K}_2\text{O} + \text{Na}_2\text{O}$ - 3; n.n.n - 2,02%. ფორმების ზომები $0,01$ -დან 3 მმ-მდეა , საერთო ფორმიანობა $50-65\%$. გულკანური წილის ქვიშის

ჭეშმარიტი სიმკვრივეა 2.61 გ/სმ³, ზოგადი სიმკვრივე 950-1100 კგ/მ³; ღორლის ჭეშმარიტი სიმკვრივეა 2.61 გ/სმ³, ზოგადი სიმკვრივე 600-800 კგ/მ³, ფორიანობა 50%, წყალშოანთქმა 22-27%, დარბილების კოეფიციენტი – 0,8. ვულკანური წილაზე დამზადებული კონსტრუქციულ-თბოსაიზოლაციო და კონსტრუქციული ბეტონების კლასი B15-35-მდეა, ზოგადი სიმკვრივით 1300-1650 კგ/მ³.

ვულკანური ტუფი – ფორიანი ვულკანური წარმოშობის ქანია, რომელიც ჩამოყალიბებულია ვულკანური ფერფლის და წვრილი, მონატეხი მასალების შეცხობით და ცემენტაციით მაღალ ტემპერატურაზე. საქართველოში ტუფი გავრცელებულია ბოლნისის რაიონში, ასევე ცნობილია თეძამის ტუფი. ტუფის ძალიან დიდი საბადოებია სომხეთში, რომელიც დაახლოებით 2 მილიარდი მ³-ის ტოლია. აქედან მთელს მსოფლიოში განთქმული მოსაპირკეთებელი მასალაა არტიკის ტუფი. ცნობილია ასევე ანისის ტუფი და სხვა.

ქიმიური შედგენილობის მიხედვით ტუფები განეკუთვნებიან მჟავე ან საშუალო ჯიშებს: მათი შედგენილობაა: კაჟმიწა (SiO₂) – 61-67%, თიხამიწა (Al₂O₃) – 14-17%, R₂O – 5-8%; ბოლნისის ტუფი ყვითელი ფერის ძარღვიანი და ლაქოვანი ქანია, ხოლო თეძამის ტუფი კი ღია ნაცრისფერი და ღია მწვანე ფერისაა. გამოიყენებიან გარე მოპირკეთებისათვის. საკედლე მოსაპირკეთებელი ქვის გამოსავალი მთლიანი მასივიდან შეაღენს 40%-ს, ხოლო დანარჩენი 60% შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც მსუბუქი შემვსები.

ბოლნისის ტუფის დორდის ნაყარი ზოგადი სიმკვრივეა 950-1200 კგ/მ³, ხოლო ქვიშისა 1100-1400 კგ/მ³, თეძამის ტუფის ნაყარი სიმკვრივეა 1000-1300 კგ/მ³, ხოლო ქვიშისა 1200-1400 კგ/მ³. ტუფის სიმტკიცის ზღვარი კუმშვისას შეადგენს 5-25 მპა, თბოგამტარობა 0,35 ვტ/მ⁰С.

ნალექი წარმოშობის ქანებიდან შეიძლება გამოიყოს ფორიანი კირქვები, ნიჟარქვები; კაუმიწოვანი ქანები: სპონგოლიტი, ალევორიტი. ამ ქანების ზოგადი სიმკვრივე შეადგენს 800-1400 კგ/მ³, სიმტკიცის ზღვარი კუმშვისას 2,5-15 მპა, სტრუქტურა – მარცვლოვანი და წვრილფოროვანია.

ხელოვნურ ფორიან შემვსებებს მიეკუთვნება: კერამზიტი, აგლოპორიტი, თერმოლიტი, წილის პემზა, აფუებული პერლიტი და სხვა, რომლებიც მიიღებიან სათანადო ნედლეულის თერმული დამუშავების შედეგად. ხელოვნური ფორიანი შემვსებები გამოირჩევიან უფრო მაღალი ხარისხითა და თბოტექნიკური მაჩვენებლებით, ვიდრე ბუნებრივები, რაც იძლევა მათი ეფექტურად გამოყენების საშუალებას.

კერამზიტი და მისი ნაირსახეობანი (შუნგიზიტი, ნაცროვანი ხრეში, თიხანაცრიანი კერამზიტი, აფუებული არგილიტი და სხვა). ისინი მიიღებიან ქვიშა-თიხოვანი მთის ჯიშებისაგან მომზადებული გრანულების აფუებით.

თერმოლიტი მიიღება დიატომიტის, ტრეპელის და ოპოკის, ასევე სხვა ამორფული კაუმიწოვანი ჯიშების დორდის გამოწვით აფუების გარეშე.

აგლოპორიტი ფორიანი, ნატეხოვანი მასალა, რომელიც

მიიღება თიხის ჯიშებისა და ნახშირის ძიების, გადამუშავების და წვის შემდგომი ნარჩენების (წიდა, ნაცარი, მაღაროს მადნები და სხვა) შეცხობით სააგლომერაციო მანქანებში.

წიდის პეტზა წარმოიქმნება მეტალურგიული და ქიმიური წარმოების ნადნობების წიდების ფორიზაციის შედეგად.

გრანულირებული წიდები მიიღება მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის წიდების სწრაფი გაცივებით.

აფუებული პერლიტი და ობსიდიანი - ფხვიერი ფორიანი მასალაა, რომლებიც მიიღება დამსხვრეული წყალშემცველი გულკანური მინების აფუებით.

მარცვლის ფორმით და ზედაპირული თვისებებით ხელოვნური შემვსებები იყოფიან: ფორიან ხრეშად, რომელსაც აქვს მომრგვალებული ფორმა და შემოდნობილი ზედაპირი (პერამზიტი, ნაცრის ხრეში) და ფორიან დორდად, რომელიც მიიღება ნატეხი მასალის დამსხვრევით (აგლოპორიტი, წიდის პეტზა, სათბობის წიდა და სხვა).

ფორიანი შემვსები მიიღება ან გამომწვარი, ნატეხი მასალის მსხვრევის შედეგად, მაშინ მას აქვს არაწესიერი, კუთხოვანი ფორმა, ანდა ხელოვნური ქვიშის გამოწვით. ამ შემთხვევაში მარცვლებს აქვს მომრგვალებული ფორმა.

მარცვალთა სიდიდის მიხედვით ხელოვნური ფორიანი შემვსებები იყოფიან შემდეგ ფრაქციებად:

ქვიშა – წვრილი, ფორიანი, ანუ ქვიშები 1,25მმ-ზე ნაკლები ზომის მარცვლებით, მსხვილი ქვიშები 1,25-დან 5მმ-მდე ზომის მარცვლებით.

მსხვილი შემვსები (ფორიანი დორდი ან ხრეში) – 5-10, 10-20 და 20-40 მმ ზომის მარცვლებით.

მშრალ მდგომარეობაში ფორიანი შემვსები ნაყარი ზოგადი სიმკვრივის (მოცულობითი მასის) მიხედვით იყოფა შემდეგ მარკებად: 100, 200, 250, 300, 350, 400, 500, 600, 700, 800, 1000, 1200, 1400.

ხელოვნურ ფორიან შემვსებებს წაეყენება მთელი რიგი მოთხოვნები ხრეშის ან დორდის მარცვლოვანი შედგენილობის, სიმტკიცის, შემვსებში სხვა მინარევების არ არსებობის და სხვ. მიმართ.

ფორიანი შემვსებები (დორდი, ხრეში) სიმტკიცის მიხედვით იყოფა შემდეგ მარკებად: 25, 35, 50, 75, 100, 125, 150, 200, 250, 300, 350.

ფორიან შემვსებებზე დამზადებულ მსუბუქ ბეტონებში შემკვრელად იხმარება ძირითადად პორტლანდცემენტი, სწრაფმყარებადი ცემენტები, პუცოლანიანი და წილაპორტლანდცემენტები. სასურველია 300 მარკაზე მეტი სიმტკიცის ცემენტების გამოყენება. შესაძლებელია გამოყენებულ იქნან სხვა შემკვრელებიც არანაკლებ 200 კგ/სმ² აქტიობით.

უპირატესობა უნდა მიენიჭოს მაღალი აქტიურობის მქონე შემკვრელებს, რადგან მათი ხმარების დროს მცირდება ცემენტის ხარჯი, რაც იწვევს აგრეთვე ბეტონის ზოგადი სიმკვრივის კლებას. წყლით გაუდენთილ მდგომარეობაში მიწისზედა კონსტრუქციებისათვის, რომლებიც არ იყინებიან, სამშენებლო ნორმები და წესები ითვალისწინებს

შემქვრელის მინიმალურ რაოდენობას 1გ³ ბეტონში: არმი-რებული კონსტრუქციებისათვის 225 კგ, ხოლო არაარმირებულისათვის 200 კგ.

მსუბუქი ბეტონის შედგენილობის დაპროექტების დროს აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული ყველა ის პირობა, რომელიც მოეთხოვება ბეტონებს: (მოცულობითი მასა) ზოგადი სიმკვრივე, სიმტკიცე კუმშვაზე და გაჭიმვაზე, შეპლება და ცოცვადობა დატვირთვის ქვეშ, ყინვაგამძლეობა და სხვა. ერთდროულად ბეტონის ეს შედგენილობები უნდა აქმაყოფილებდეს ისეთ მოთხოვნებს, როგორიცაა დოზირებისა და მასალათა დამუშავების სიმარტივე, ნარევის აღვილ-ჩაწყობადობა დაბეტონების დროს, ნარევის ერთგვარობა და ა.შ.

ადგილობრივ შემვსებებზე ბეტონის შედგენილობის ანგარიშის დროს და სამუშაოების წარმოების მოცემულ პირობებში, უზრუნველყოფილ უნდა იქნას ბეტონის მაქსიმალური შემკვრივება უმცირესი ზოგადი სიმკვრივითა და ცემენტის მინიმალური ხარჯით.

მსუბუქ შემვსებებზე დამზადებულ ბეტონებს არა თუ გააჩნიათ ის თვისებები, რომლებიც აქვთ მძიმე ბეტონებს, არამედ ხასიათდებიან რიგი უპირატესობებით – მცირე ზოგადი სიმკვრივით, თბოგამტარობის დაბალი კოეფიციენტით, ბგერაზოლაციით და სხვა.

მსუბუქ შემვსებებს გარდა კერამზიტისა, როგორც წესი, აქვთ დაკუთხული ფორმა და განვითარებული ზედაპირი,

რაც ბეტონის ნარევს აძლევს სიხისტეს და არაადვილ-ჩაწყობადს ხდის მას. ხოლო დღეგანდელ პირობებში საჭირო ადვილჩაწყობადობის მისაღწევად ქვიშისა და წ/ც-ის ფარდობის გაზრდასთან ერთად ვიყენებთ სხვადასხვა პიდროვობურ და მაპლასტიფიცირებელ დანამატებს. თანა-მედროვე მაპლასტიფიცირებელი დანამატების გამოყენება ფრიად მიზანშეწონილია, რადგან ცემენტის ხარჯის გაზრდა ეკონომიკურად გაუმართლებელია. გარდა ამისა, ამ ღონის-ძიებას მივყავართ ბეტონის შეკლების დეფორმაციისა და ზოგადი სიმკვრივის გაზრდამდე; ჭარბი წყლის დამატება არ არის სასურველი, რადგან ეს იწვევს ბეტონის სიმტკიცის შემცირებას, განშრევებას და შეკლების დეფორმაციების ზრდას.

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოში ფორიანი შემვ-სებების დიდი მარაგია, რომელიც განლაგებულია ახალქალაქის, ნინოწმინდის, ბორჯომის, წალკისა და ცხინვალის რაიონებში. აგრეთვე უნდა აღინიშნოს პერლიტის დიდი მარაგი ფარავნის ტბის მიდამოებში, ბოლნისის და თებამის ტუფის საბადოები. ეს შემვსებები ქიმიური შედ-გენილობების და ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების მიხედვით საჭებით მისაღებია მსუბუქი ბეტონის საწარ-მოებლად. ცხრილ 1.1-ში მოყვანილია ვულკანური წარმოშო-ბის ზოგიერთი ნედლეული მასალის ქიმიური შედგენილო-ბები.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული საბადოების სიმრავ-

ცხრილი 1.1

გულკანური წარმოშობის ზოგიერთი ქანის
ქიმიური შედგენილობები

ქიმიური შედგენილობ.	SiO ₂	Al ₂ O ₃	Fe ₂ O ₃	CaO	MgO	K ₂ O	Na ₂ O	SO ₃	n.p.n.
ნედლ.%-ში დასახელება									
ოკამის გულკანური წილა	54	18	3,34	9,7	3,96	2,68	2,24	0,53	4,84
საფამის გულკანური წილა	56	18	6,95	6,4	4,2	4,71	—	2,23	1,28
ბოლნისის ტუფი	72	16	3,92	1,22	1,7	0,91	—	—	3,87
თემამის ტუფი	74	15	3,67	2,74	0,95	0,87	—	—	2,57
ფარავნის პერლიტი	67	19	1,38	0,68	0,93	4,44	1,7	0,8	3,89

ლისა, ჩვენს ქვეყანაში მშენებლობის მზარდი ტემპებიდან გამომდინარე მოთხოვნები მსუბუქ ბეტონზე საგრძნობლად გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ საზღვარგარეთ წარმოებული ბეტონების 70-80% მსუბუქი ბეტონების კლასს მიეკუთვნება. საერთო ევროპული სტანდარტები მოითხოვენ თბოტექნიკური ნორმების დაცვას და შემომზღუდავ და გადახურვის კონსტრუქციებში თბობგერასაიზოლაციო მასალების ფართო გამოყენებას. დროთა განმავლობაში ანალოგიური სტანდარტები შემოღებული იქნება საქართველოშიც. დღევანდელ მშენებლობაში მსუბუქ ფორიან შემვსებებზე დამზადებული მსუბუქი ბეტონები ძალიან მცირე რაოდენობით გამოიყენება. არადა საქართველოში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ასეთი ნედლეულის საჭმაოდ დიდი მარაგებია. ერთ-ერთზე ჩვენც შევაჩერეთ უურადღება. ეს ნაშრომი სწორედ პერლიტის გამოყენებას შეეხება მშენებლობაში.

თავი Ⅱ

ზარავნის პერლიტის ზოგადი დახასიათება, აფშებაღობა,
აფშებული პერლიტის გაზაზე მიღებული შემცვევების
გამოყენების შესაძლებლობა მსგავს ბეტონებში

2.1. პერლიტის ზოგადი დახასიათება. პერლიტის აფშება.

პერლიტი, ლავის გაცივების შედეგად წარმოქმნილი, ყველა მაგმური ქანის მსგავსად, მინისებრი აგებულებისაა. იმ შემთხვევაში, როცა ლავის გაციება ხდებოდა დიდი ხნის განმავლობაში, თანაბარზომიერად, მაშინ ლავის მდორე გამოკრისტალების შედეგად წარმოიშვებოდა ბაზალტი, ანდეზიტი, დიაბაზი და სხვა ანალოგიური ტიპის ქანი. ხოლო თუ გაციება მიმდინარეობდა ძალზე სწრაფად და თანაც მაგმა უმთავრესად პაუმიწიან მინერალს შეიცავდა, მიიღებოდა ვულკანური მინა, ეწ. პერლიტური ქანი.

ქანში შემავალი წყლის რაოდენობისა და სტრუქტურის მიხედვით ვულკანური მინები იყოფა სამ ჯგუფად:

1. ობსიდიანი – (ლათ. Obsidianus – ვულკანური მინა) შეიცავს 1%-მდე წყალს, კრისტალებისაგან სრულიად თავისუფალია, ქანი მუქი ფერისაა, ნიჟარისებრია, გადანატებებში მისი წიბო მახვილი და მჭრელია.
2. პერლიტი – შეიცავს 10%-მდე არათანაბარზომიერად განაწილებულ წყალს და საწყისი კრისტალიზაციითა და ფისისმაგვარი ბრწყინვალებით ხასიათდება.
3. პერლიტი – ვულკანური წარმოშობის მთის მუვე ქანია. მისი სტრუქტურა ბოჭკოვანია; აქვს თეთრი, მწვანე,

შავი, მოყავისფრო შეფერილობა და შესაძლოა გადაკრავდეს ყვითელი და ნაცრისფერი. იგი შეიცავს 1-5% ქიმიურად ბმულ წყალს, მინისებური, ამორფული წყობისაა.

მინისებრი მასა ქანში განლაგებულია ისე, თითქოს ქანი ბურთებისა და ნიჟარებისაგან შედგებოდეს. ქანის ასეთი წყობა აიხსნება ამორფული ლავის სწრაფი გაციებით და გამაგრებით. წარმოშობილი ბზარების გამო პერლიტი ბუნებრივი გამოფიტვით იშლება მარგალიტისმაგვარ მბრწყინავ ზედაპირიან ბურთულებად. სწორედ აქედან წარმოიშვა მისი სახელწოდებაც – პერლიტი ფრანგული სიტყვაა (les perles) და მარგალიტს ნიშნავს.

ხელოვნური ფორიანი შემცხებების წარმოების პროცესში შესაძლებელია მათი ფორიანობის, სიმტკიცის და სხვა თვისებების შეცვლა თერმული დამუშავებით. შემცხებების დამზადებისას მიმართავენ ნედლულის ფორიზაციის ოთხ ძირითად მეთოდს:

1. საწყისი კაზმის წინასწარი აქაფება;
2. ორგანული დანამატების ან მინარევების ამოწვა;
3. საწყისი კაზმის აფუება პიროპლასტიკურ მდგომარეობაში;
4. ნადნობის აფუება აირისებრი ან ორთქლისებრი პროდუქტებით.

პერამზიტი: მიიღება დანალექი თიხოვანი ქანების აფუებით გამოწვისას; გარდა ამისა იყენებენ მეტამორფულ ქანებს: თიხოვან ფიქლებს, არგილიტებს და სხვა. განასხვავებენ

კერამზიტის მიღების სამ ტექნოლოგიურ ხერხს: მშრალს, პლასტიკურს და სველს. აფუების კოეფიციენტი წარმოადგენს კერამზიტის აფუებული გრანულის მოცულობის შეფარდებას თიხის ნედლეულის მშრალ გრანულასთან გამოწვამდე (გრანულის გამოწვა ხდება $1050\text{--}1200^{\circ}\text{C}$ ტემპერატურაზე):

$$K_{\text{აფ}} = V_{\text{ა}} / V_{\text{6}}$$

$$K_{\text{აფ}} = V_{\text{ა}} / V_{\text{6}};$$

სადაც $V_{\text{ა}}$ – კერამზიტის აფუებული გრანულის მოცულობაა;

V_{6} – ნედლეულის მშრალი გრანულის მოცულობა
გამოწვამდე.

აგლოპორიტი ფორიანი, ნატეხოვანი მასალაა, რომელიც მიიღება თიხის ჯიშებისა და ნახშირის ძიების, გადამუშავებისა და წვის შემდგომი ნარჩენების შეცხობით (წიდა, ნაცარი და სხვა) სააგლომერაციო მანქანაში.

აფუებული კერმიკულიტი წვრილმარცვლოვანი ფორიანი მასალაა. იგი ქარსის ნაირსახეობაა და რკინა-მაგნიუმის ჰიდროალუმოსილიკატია; შეიცავს 8-18%-მდე ქიმიურად ბმულ წყალს. კერმიკულიტი შედარებით რბილი ქანია და ხასიათდება მაღალი ცეცხლმედეგობით.

აფუებული პერლიტი და ობსიდიანი – ფორიანი ფხვიერი მასალაა, რომელიც მიიღება დამსხვრეული წყალშემცველი გულკანური მინების აფუებით. საკუთრივ ქანი, პერლიტი აბსოლუტურად უსაფრთხოა ადამიანის ჯანმრთელობისა-

თვის; დასამუშავებლად ადვილია; არ ლპება, არ იწვის, წყალმედეგია; მისი ნაირსახეობებია: ობსიდიანური (ობსიდიანის მინარევით), სფეროლიტური (მინდვრის შპატით), ფისოვანი (შრეული აგებულებით) და სხვა. ტექსტური ნიშნით გამოყოფენ: მასიურ, ზოლიან და პემზის პერლიტს. ნედლეულის მოპოვება წარმოებს კარიერში, რაც ითვალისწინებს მის დამსხვრევას და ფრაქციებად დაყოფას. ვულკანური მინების შედგენილობა და თვისებები დიდ გავლენას ახდენენ მათი აფუების ტექნოლოგიურ პარამეტრებზე.

პერლიტური ქანების აფუება ხდება მათი გახურებით პიროპლასტიკურ მდგრმარეობამდე; ე.ი., როცა აიროვანი ფაზა დაძლევს ნაღნობის ბლანტ წინააღმდეგობას. პიროპლასტიკური პროცესის დროს პერლიტისგან გამოიყოფა სტრუქტურულად შეკავშირებული წყალი. ამ დროს პროცესში მონაწილეობენ ქანის ფორექტი არსებული აირებიც (ჟანგბადი, წყალბადი, აზოტი, ნახშირმჟავა აირი, ნახშირორჟანგი, პელიუმი, ნეონი, არგონი და სხვა), რომლებიც პიროქიმიური რეაქციების დროს გარეთ გამოდიან. პერლიტური ქანი, რომელიც 2–8%-ის ოდენობით წყალს შეიცავს, საჭიროებს ორსტადიურ დამუშავებას: პირველად $250\text{--}450^{\circ}\text{C}$ -მდე გახურებისას გამოიდევნება წყლის ჭარბი ნაწილი, ე.ი. მიმდინარეობს ქანის ე.წ. ობური მომზადება. წინასწარი თბური მომზადება იცავს პერლიტს დასკდომისაგან, გამოწვის დროს. ჭარბი წყლის მოცილების შემდგომ, შეიძლება მივიღოთ წინასწარ განსაზღვრული თვისებების მქონე

ფორიანი შემვსები. ნედლეულის თბური მომზადება აუმჯობესებს შემვსების გრანულომეტრულ შედგენილობას, ხელს უწყობს მსხვილი ფრაქციის წილის გაზრდას და ა.შ. თბური დამუშავების შემდეგ წარმოებს პერლიტის გამოწვა და აფუება. ნარჩენი წყლის ოპტიმალური შემცველობა, რომელიც განაპირობებს მის ეფექტურ აფუებას, სხვადსხვაა სხვადასხვა ადგილმდებარეობის პერლიტებისათვის და იცვლება 0,8-დან 3%-მდე მასის მიხედვით. პერლიტის ორსტადიური გამოწვა უზრუნველყოფს ღუმელის უფრო სტაბილურ მუშაობას და ზრდის მის მწარმოებლობას.

პერლიტის თვისებებიდან გამომდინარე, მისი აფუების ტემპერატურა დიდ ფარგლებში – 760-დან 1230°C -მდე, ხოლო აფუების დრო ათეული წამებიდან 4-5 წუთამდე მერყეობს. ამ მახასიათებლების მიხედვით ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებლები გააჩნია ფარავნის პერლიტს. მისი აფუების ტემპერატურაა 900 - 1100°C -ია. ამ დროს დარბილებულ მასაში წარმოიქმნება წვრილი ბუმტუპები – ნედლეული იშლება 0,14-20 მმ ზომის მარცვლებად. აფუების დრო 10-20წმ-დან 1-2წ-მდეა. აფუების კოეფიციენტი 12-15-ია. ზოგი სახის პერლიტში გვხვდება კვარცის, პლაგიოკლაზის, ქარსის და სხვ. სახის ჩანაწინწკლები. ამგვარი ჩანართების რაოდენობა პერლიტოვან ქანებში ხშირად 50%-საც კი აღწევს. დადგენილია, რომ მათი რაოდენობა 25%-ზე ზევით მნიშვნელოვნად აუარესებს აფუებული პერლიტის ხარისხს.

აფუებული პერლიტის მიღების ტექნოლოგია მარტივია: წარმოებს მოპოვებული ნედლეულის მსხვრევა, ფრაქციონირება და გამოწვა. მტვერი, როგორც თანმდევი ნარჩენი შეიძლება გამოყენებულ იქნას პორტლანდცემენტის პირავლიკურ დანამატად; კირ-პერლიტოვანი, თაბაშირ-პერლიტოვანი შემცვრელების დასამზადებლად და სხვ.

პერლიტის თერმული დამუშავება ხდება ორი ტიპის ღუმელებში:

- 1) ვერტიკალურ შახტურში, სადაც მიიღება მხოლოდ პერლიტის ქვიშა, ზომით 2,5 მმ-მდე;
- 2) მბრუნავ ჰორიზონტალურში, სადაც მიიღება პერლიტის ღორდი (სისხო 20-მმ-მდე) და პერლიტის ქვიშა, ზომით 5მმ-მდე.

ამგვარად, ჰორიზონტალურ მბრუნავ ღუმელში შეიძლება მივიღოთ მსუბუქი შემცვები სამჟენებლო ბეტონებისათვის (პერლიტის ქვიშა და ღორდი) და თბოიზოლაციისათვის (პერლიტის ქვიშა).

ნახევრად საწარმოო პირობებში, „მდუღარე შრის“ პრინციპით მომუშავე ღუმელებში შესაძლებელია 10მმ-მდე სისხოს პერლიტის ღორდისა და 5მმ-მდე სისხოს ქვიშის მიღება. ლაბორატორიულ პირობებში, კი ბაროთერმული მეთოდით ასევე მიიღება აფუებული პერლიტის შემცვები.

ნედლეულის თბური დამუშავება წარმოებს მბრუნავ, დოლურ, საშრობ ღუმელებში. ამ ტიპის საშრობები მუშაობენ ნაკადსაწინააღმდეგო პრინციპით: პერლიტი იტვირთება

დუმელში საკვამურის მხრიდან, აირების მოძრაობის საწინააღმდეგოდ. დუმელის სიგრძეა 6,6მ, შიგა დიამეტრი 0,75მ, დახრის კუთხე ჰორიზონტალური სიბრტყისადმი შეადგენს 2^0 ; დუმელი აკეთებს 4 ბრუნს წუთში. მას შეუძლია გადაამუშავოს 1500კგ ნედლეული ერთი საათის განმავლობაში. პერლიტის ნარჩენი ტენიანობა გამოშრობის შემდეგ შეადგენს 2–3%-ს.

პერლიტის ქვიშას ძირითადად შახტურ დუმელებში გამოწვავენ; ხოლო ცალკეულ შემთხვევებში (რუსთავი, ყაზანი) მბრუნავ დუმელებში. შახტურ დუმელებში პერლიტი გამოიწვება შეტივგებულ მდგომარეობაში: მასალის ნაწილაკები გახურებული აირის აღმავალი ნაკადის მიერ აფუვდებიან და წარიტაცებიან ციკლონ-კლასიფიკატორების სისტემაში. უფრო გავრცელებულია ამონაგი შახტური დუმელები.

შახტური და მბრუნავი დუმელების მაჩვენებლები პერლიტის აფუებული ქვიშის მწარმოებლობის მიხედვით თითქმის ერთნაირია. თუმცა შახტურმა დუმელებმა მეტი გავრცელება პპოვა მათი კონსტრუქციული სიადვილის და ექსპლუატაციაში, საიმედოობის გამო.

პერლიტის ღორდის გამოწვა ხორციელდება მხოლოდ ჰორიზონტალურ, პირდაპირი დინების მბრუნავ დუმელებში. დუმელის მუშა სივრცეში დამონტაჟებულია ორი ფრეკვენანა. ერთი ფრეკვენანას დერძი განთავსებულია ღოლურას დერძის გასწვრივ, ხოლო მეორესი ამ დერძისადმი გარკვეული


კუთხით. ფრქვევანები მუშაობენ ბუნებრივ აირზე, დიზელის საწვავზე ან მაზუთზე. მასალა, თბური მომზადების შემდეგ, მიეწოდება ღუმელს, პირდაპირ მაქსიმალური ტემპერატურის ზონაში. პერლიტის წვრილი ფრაქცია მაღვე ფუნდება საწვავის ალტი, ნამწვი აირების მოქმედებით გადადის პნევმოტრანსპორტის სისტემაში და ამ გზით გამოიტანება გარეთ. მსხვილი გრანულები ფუნდებიან ღუმლის გასწვრივ გადაადგილებით განმტკირთი ტორსისკენ მოძრაობისას. აქედან კი პნევმოტრანსპორტით მიეწოდებიან დოლურ ცხავებს. დაფრაქციებული პერლიტი შემდეგ თავსდება ბუნკერებში.

ღუმელების საშუალო მწარმოებლობა პერლიტის ღორღის შემთხვევაში, შეადგენს $2,8 \text{ } \text{მ}^3/\text{სთ-ს}$, ხოლო ქვიშისა $4,1 \text{ } \text{მ}^3/\text{სთ-ს}$.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, არსებობს აფუებული პერლიტის წარმოების სხვადასხვა ტექნოლოგიური სქემები, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან საწარმოო სიმძლავრითა და გამოყენებული საქარხო აღჭურვილობით. ძირითადად კი წარმოების პრინციპი თითქმის ყველგან ერთნაირია და მოიცავს შემდეგ საწარმოო ეტაპებს: ნედლეულის მომზადება, წინასწარი შრობა, გამოწვა-აფუება, დახარისხება და შევუთვა.

ქვემოთ ნახ. 2.1-ზე წარმოდგენილია აფუებული პერლიტის ქვიშის წარმოების ტექნოლოგიური სქემა, რომელიც ნათელ წარმოდგენას იძლევა პერლიტის აფუების საერთო

პრინციპზე. განხილული ტიპის საწარმოს მწარმოებლობა შეადგენს 50-100 ათას მ³-ს წელიწადში.



ნახ. 2.1. აფუებული პერლიტის ქვიშის წარმოების
ტექნოლოგიური სქემა:

1 – ბუნკერი; 2 – მკვებავი; 3 – კონვეიერთა სისტემა; 4 – კონვეიერთა სისტემა; 5 – ხიდურა ამწე; 6 – მიმღები ძაბრი; 7 – ფირფიტოვანი ტრანსპორტიორი; 8 – ცხავი; 9 – ყბიანი სამსხვერეველა; 10 – ლენტური ტრანსპორტიორი; 11 – ლილგაკბიანი სამსხვერეველა; 12 – ელეგატორი; 13 – ცხავი; 14 – გამოსაშრობი ღუმელი; 15 – გამწმენდი ღოლური ღუმელი; 16 – ლენტური ტრანსპორტიორი; 17 – ლენტური ტრანსპორტიორი; 18 – ელეგატორი; 20 – მკვებავი ბუნკერები; 21 – ღოლური ღუმელი; 22 – გამწმენდი მოწყობილობა; 23 – შახტური ღუმელი; 24 – გენტილატორები; 25 – სეპარატორები; 26 – სამარაგე სილოსები.

ნედლეულის მომზადების საწარმოო ოპერაციებია: დამსხერევა, დახარისხება და წინასწარი თბური მომზადება: ქარხნის ტერიტორიაზე ავტოვითმცლელით შემოზიდული პერლიტი იყრება მიმღებ ბუნკერში; შემდგა მკვებავითა და კონვეიერთა სისტემით გროვდება ნედლეულის საწყობში;

საწყობიდან კი 5-ტონიანი ხიდურა ამწით იტვირთება მიმდებადაბრში; ფირფიტოვანი ტრანსპორტიორით იცხრილება და იმსხვრევა ყბებიან და ჩაქებიან სამსხვრეველაში; შემდეგ იგი ლენტური ტრანსპორტიორით მიეწოდება ლილვაკებიან სამსხვრეველას, იმსხვრევა უფრო წმინდად და ელევატორით ტარდება ცხავში; თუ ნედლეული ხასიათდება მაღალი ტენიანობით (10%-ზე მეტი), მაშინ ცხავში გატარებამდე უნდა გაშრეს. ამისათვის გამოიყენება გამწმენდ მოწყობილობიანი დოლური ლუმელი, საიდანაც პერლიტი ცხავს მიეწოდება ლენტური ტრანსპორტიორების სისტემით.

გაცხრილვა ხდება ისე, რომ წარმოების შემდეგი ეტაპი-სათვის მიღებულ იქნას პერლიტი $0,5 - 2,5$ მმ ფრაქციით. უფრო წვრილმარცვლოვანი პერლიტი მოსახერხებელი არ არის, რადგან მიღებული საბოლოო პროდუქტი მძიმეა, ხოლო უფრო მსხვილმარცვლოვანი კი – იძლევა არათანა-ბარზომიერად აფუებულ პროდუქტს.

დამსხვრევის შემდეგ წარმოებს ნედლეულის თბომოზა-დება. ეს საჭიროა იმ შემთხვევაში, როდესაც იგი შეიცავს $5\%-ზე$ მეტ ქიმიურად ბმულ წყალს. თბომოზადება ხდება შემდეგნაირად: დამსხვრეული და ცხავში გაცხრილული პერლიტი ელევატორითა და რევერსული ტრანსპორტიორით იყრება მკვებავ ბუნკერებში, იქიდან კი ვიბრაციული მკვებავით მიეწოდება თბომოზადების დოლურ ლუმელს, სადაც პერლიტის $450 - 500^{\circ}\text{C}$ -მდე გახურებით გამოიდევნება მასში შემავალი ქიმიურად ბმული წყლის ნაწილი. ამ

ღუმელს აქვს მისგან გამომავალი, გადამუშავებული აირების გამწმენდი მოწყობილობა, რომელიც იჭერს აირის მიერ წატაცებულ მკვრივ ნაწილაკებს და აბრუნებს მათ მკვებავ ბუნკერში.

თბომომზადების შემდეგ ხდება პერლიტის გამოწვა – აფუება. ამისათვის გამომშრალი მასალა თბური მომზადების ღუმელიდან დახრილი მკვებავით იტვირთება გამოსაწვავ შახტურ ღუმელში. სპეციალური ვენტილატორებით შეიჭირხნება ჰაერი, სადაც იგი თბება 400°C -მდე და აიტაცებს პერლიტს ღუმლის ზედა ნაწილში (გამოწვის ზონა). იქ პერლიტი ფუვდება $900\text{-}1100^{\circ}\text{C}$ ტემპერატურაზე, ფუვდება და სპეციალური მილგაყვანილობით წარიტაცება, ტარდება სეპარატორებში, სადაც სეპარირდება და ცალკეულ ფრაქციებად იყრება აფუებული პერლიტის სამარაგე სილოსებში.

გამოსაწვავი ღუმელებისათვის საწვავად გამოიყენება სოლარის ზეთი, მაზუთი ან მათზე უკეთესი ხელოვნური ან ბუნებრივი საწვავი აირები. ღუმელების მართვა ხდება ცენტრალური სამართავი პულტიდან. პერლიტის აფუება მაქსიმალურ ტემპერატურაზე ძალზე სწრაფად ხდება: 3-5 მმ ფრაქციის პერლიტი ფუვდება 15 წამში, უფრო მსხვილი 30-60 წამში და პერლიტის გამოწვის მოლიანი ციკლის ხანგრძლივობა 3-5 წუთს არ აღემატება.

აფუებული პერლიტის საწარმოებში ყველა სატრანსპორტო მოწყობილობა, ბუნკერები და მათი სადინარები გულმოდგინედ უნდა იყოს ჰერმეტიზებული. საწარმო უზრუნველყო-


ფილი უნდა იყოს მძლავრი სავენტილაციო ქსელით. თუ პერლიტის ასაფუქმელი განცოცილება წარმოადგენს პერლიტისა და მისი ნაკეთობების მსხვილ საწარმოში შემავალ საამქროს, მაშინ სილოსებიდან აფუქმელი მასალა მიეწოდება პერლიტბეტონსარევ კვანძს პნევმოტრანსპორტიორით. აფუქმელი პერლიტის დამამზადებელი ქარხნებიდან კი მისი მიწოდება მომხმარებლისათვის, როგორც წესი, უნდა ხდებოდეს ტარით; ამისათვის გამოიყენება ოთხმაგუენიანი კრაფტ-ქაღალდის ტომრები. პერლიტის ტრანსპორტირება ნაყარ მდგომარეობაში დაუშვებელია, რადგან სიმსუბუქის გამო იგი ჰაერში იფანტება. მისი შენახვა უნდა მოხდეს დახურულ საწყობებში და დაცული უნდა იყოს დატენიანებისაგან.

განვიხილოთ ჩვენში უფრო მეტად გავრცელებული შახტური დუმელი. მისი მუშაობის სქემა ნაჩვენებია ნახ.

2.2-ზე.

შახტური ტიპის დუმელებიდან უმთავრესად გამოიყენება НИИСМИ ПУ-10М ტიპის დუმელი. იგი შედგება ორი სექციისაგან. გამოწვა – აფუქმელის ქვედა სექციას აქვს ერთ-მანეთზე მიღებული ორი წაკვეთილი კონუსის ფორმა. ზედა სექცია ცილინდრულია. ორივე სექცია ორმაგედლიანია. შიგა კედელი ამოყვანილია ცეცხლგამძლე მასალისაგან. ქვედა სექციის კედლებს შორის მოძრაობს წყალი კედლების გასაციებლად. ზედა სექციის კედლების გაციება

ხდება პაერით; წინასწარ



ნახ. 2.2. პერლიტის გამოსაწვავი
შახტური ღუმელი

- 1 – პაერი;
- 2 – წყალი;
- 3 – ნედლეული;
- 4 – საცეცხლური;
- 5 – დოლი;
- 6 – განმრჩირთაგი

მომზადებული გამოსაწვავი


პერლიტი ღუმელში იყრება
სხვადასხვა სიმაღლეზე
მოწყობილი ძაბრებით.
ჩაყრის დონე დამოკიდებულია
გამოსაწვავი პერლიტის
სახეობაზე და მომზადების
ხარისხზე. პერლიტი,
რომელიც შედარებით ძნელად
ფუვდება, ღუმელში იყრება
ქვედა ძაბრიდან, ხოლო რომე-
ლიც იოლად ფუვდება – ზედა
ძაბრიდან. ღუმელში ჩატვირ-
თული პერლიტი მოძრაობს

ქვემოთ და ხვდება, ზემოთ
სწრაფად მოძრავ აირს, აიტა-
ცება მის მიერ და შეწონილ მდგომარეობაში სწრაფად ფუჭ-
დება. ღუმელი მცირე ზომისაა: მისი სიმაღლე შეადგენს 500
სმ-ს, ცილინდრული ნაწილის შიგა ღიამეტრია 50 – 60 სმ,
კონუსური ნაწილისა ვიწრო ყელში – 30 სმ; ქვედა სექციის
კედლის გაცივებისათვის წყლის ხარჯი შეადგენს 1500
ლ/სთ-ს; ზედა სექციისათვის სათბობის ხარჯი თხევადი
საწვავის გამოყენებისას არის 350 მ³/სთ, ხოლო საწვავი
აირის გამოყენების შემთხვევაში – 900 მ³, ღუმელის
საათური მწარმოებლობა მისი ზომების მიხედვით 12-16 მ³

ცება მის მიერ და შეწონილ მდგომარეობაში სწრაფად ფუჭ-
დება. ღუმელი მცირე ზომისაა: მისი სიმაღლე შეადგენს 500
სმ-ს, ცილინდრული ნაწილის შიგა ღიამეტრია 50 – 60 სმ,
კონუსური ნაწილისა ვიწრო ყელში – 30 სმ; ქვედა სექციის
კედლის გაცივებისათვის წყლის ხარჯი შეადგენს 1500
ლ/სთ-ს; ზედა სექციისათვის სათბობის ხარჯი თხევადი
საწვავის გამოყენებისას არის 350 მ³/სთ, ხოლო საწვავი
აირის გამოყენების შემთხვევაში – 900 მ³, ღუმელის
საათური მწარმოებლობა მისი ზომების მიხედვით 12-16 მ³

ია. შახტური ღუმელები, როგორც წესი გამოიყენება პერლიტის აფუებული ქვიშის წარმოებაში.

ჰორიზონტალური მბრუნავი ღუმელი არის ერთდოლიანი ან ორდოლიანი. უმთავრესად გამოიყენება ერთდოლიანი ღუმელები. ერთდოლიანი ღუმელის სქემა წარმოდგენილია ნახ. 2.3-ზე.



ნახ. 2.3. მბრუნავი დოლისებრი ღუმელის სქემა
1 – ასაფუებული გრანულების ჩატერთვა; 2 – მბრუნავი ღუმელი;
3 – ფრქვევანა; 4 – აფუებული პერლიტი; 5 – ცხელი აირების ნაკადი.

ღუმელი წარმოადგენს 40-75 მ სიგრძის, 2,5-5 მ დიამეტრის ლითონის ცილინდრულ დოლს. ღუმელის სიგრძის გაზრდით მცირდება საწვავის ხარჯი, მაგრამ გამოსაწვავი მასის ნაყარი სიმკვრივე იზრდება. ღუმელი შიგნიდან ამოგებულია ცეცხლგამძლე აგურით. ღუმელებს აგებენ დაახლოებით 3⁰ დახრით ჰორიზონტალური ღერძის მიმართ; იგი ნელა მოძრაობს თავისი ღერძის გარშემო (1-2 ბრ/წთ); ასაფუებული გრანულები, რომლებიც მიეწოდება ზედა ბოლოდან, მისი ბრუნვისას თანდათანობით გადაადგილდება დოლის ქვედა ბოლოსკენ, სადაც დაყენებულია ფრქვევანა

თხევადი ან აირისებრი სათბობის შესაფრქვევად. მბრუნავი დოლი მუშაობს წინააღმდეგნით პრინციპზე: დაუმუშავებელი გრანულები გადაადგილდებიან რა ცხელი აირების ნაკადის საწინააღმდეგო მიმართულებით, ცეცხლოვანი ალის ზონაში იწყებენ აფუებას. გრანულები ლუმელში ყოვნდება საშუალოდ 45 წუთს.

50მ სიგრძის ლუმელის ტექნოლოგიური პროცესი შეიძლება დაიყოს ოთხ ზონად: შრობის, გახურების, აფუების და გამჟარების. შრობა მიმდინარეობს 11 მ სიგრძეზე, სადაც ხდება თავისუფალი ტენის აორთქლება მასალიდან, რომლის ტემპერატურა 100°C -მდეა. ამ ზონაში გახურებული აირის ტემპერატურა საკმაოდ მაღალია (700 - 850°C), ხოლო მასალის ზოგადი სიმკვრივე მცირდება. იმის გამო, რომ გრანულები ტენიანი შემოდის, მათი ტემპერატურა ნელნელა იზრდება. თბოგადაცემის კოეფიციენტი ამ ზონაში 105 - 128 კგ/მ²·°C-ის ტოლია. გახურების ზონის სიგრძეა 15 მ. ამ ზონაში წარმოებს პიგროსკოპული ტენის ნარჩენების აორთქლება, მთლიანად ხდება აქროლადი ნივთიერებების მოცილება, მასალა ცხელდება 100°C -დან 850°C -მდე. ლუმელში ტემპერატურა ამ დროს 850 - 1100°C -ია. გრანულების ზოგადი სიმკვრივე, პიგროსკოპული პიდრატული ტენის ნარჩენებისა და აქროლადი ნივთიერებების გარკვეული ნაწილის მოცილების ხარჯზე, მონოტონურად მცირდება. აფუების ზონაში, რომელიც მოკლე უბანზე (8-9მ) კრცელდება,

გრანულების ზოგადი სიმკვრივე თითქმის ნახტომისებურად მცირდება, მასალის ტემპერატურა კი აღწევს 1125°C -ს; შემდეგ ამავე ზონაში, 4 მ სიგრძის ბოლო უბანზე აირებისა და მასალის ტემპერატურა რჩება სტაბილური, ხოლო ზოგადი სიმკვრივე აგრძელებს შემცირებას, რადგანაც მასალა ამ ზონაში პიროპლასტიკურ მდგომარეობაშია. გამყარების ზონის სიგრძე სულ 15 მ-ია. აქ მასალის ტემპერატურა 1125°C -დან მცირდება 1025°C -მდე. შესაბამისად მცირდება აირების ტემპერატურაც. ზოგ შემთხვევაში ამ ზონაში აირების ტემპერატურა უფრო ინტენსიურად მცირდება, ვიდრე მასალისა.

აფუებული პერლიტის ქიმიური შედგენილობა მოცემულია ცხრილ 2.1-ში.

ცხრილი 2.1

აფუებული პერლიტის ქიმიური შედგენილობა %-ში

SiO_2	Al_2O_3	Fe_2O_3	CaO	MgO	K_2O	Na_2O	MnO	TiO_2	P_2O_5	H_2O	SO_3
73-	12,9-	1,5-1,9	0,69	0,23	4,19	3,15	0,18	0,13	0,24	0,04	0,09
76	13,2										

აფუებული პერლიტი ხანგამდლე მასალაა, ცეცხლმჟდებია: გამოყენების ტემპერატურა -200° -დან $+900^{\circ}\text{C}$ -მდეა. აქვს უნარი შეიწოვოს სითხე 400% საკუთარი მასიდან. ბიოლოგიურად მედებია, ქიმიურად ინერტული: ნეიტრალურია ტუტებისა და სუსტი მუვების მიმართ. ეკოლოგიურად სუფთა, სტერილური მასალაა, არ არის ტოქსიკური, $\text{pH} = 7$.

(ნეიტრალური). მშენებლობაში იგი გამოიყენება, როგორც დამოუკიდებლად (ქვიშისა და დორდის შემცველი თბოსაიზოლაციო ნაყარის სახით, იატაკების, კედლებისა და სახურავებისათვის), ასევე ნარევებში სხვა საშენ მასალებთან ერთად.

პერლიტის უნიკალური თვისებები იძლევა მისი სხვადა-სხვა დანიშნულებისამებრ გამოყენების საშუალებას, კერძოდ:

მშენებლობაში, შემომზღუდავ კონსტრუქციებში პერლიტ-ბეტონების გამოყენებით, მნიშვნელოვნად უმჯობესდება შენობა-ნაგებობების თბობგერასაიზოლაციო თვისებები, რისი თანმდევიცაა კონსტრუქციების მასისა და მოცუ-ლობის შემცირება.

სპორტულ მშენებლობაში მოედნების მოწყობისას, პერლიტს უმატებენ ნიადაგს, ბალახის დარგვამდე. ამ დონისმიების შედეგად მინდორი არ იტბორება და არ ირეცხება წვიმიან ამინდში; ბალახი არ ხმება და მოედანი ინარჩუნებს მწვანე საფარს გვალვის დროსაც კი.

ნავთობგადამამუშავებელ და გაზის მრეწველობაში აფუებული პერლიტი სპეციალურად გამოიყენება, როგორც შთანთქმელი ნივთიერება ნავთობის და მაზუთის ჩამოსხმი-სას. ასევე ნარევში პერლიტს უმატებენ განვრცობად ცემენტს, რაც განპირობებულია ნავთობისა და გაზის ჭაბურღილების შესაკავებლად.

საცხოვრებელ-კომუნალურ მეურნეობაში აფუებულ პერ-ლიტს იყენებენ მინარევებისაგან სასმელი წყლის საბო-

ლოოდ გასასუფთავებლად, მომხმარებლამდე მიწოდების წინ; აგრეთვე ჩამდინარე წყლების გასაწმენდად.

კვების მრეწველობაში აფუებული პერლიტი წარმოადგენს შესანიშნავ ნედლეულს პროდუქტების შესანახი გარემოს მოს მოსაწყობად; იყენებენ აგრეთვე, როგორც ფილტრს, დვინის, ლუდის, წევნებისა და ზეთების გასაწმენდად.

ეკოლოგიაში – პერლიტი წარმოადგენს საშუალებას წყალსატევების, ნიადაგების სამრეწველო ნარჩენების და ქიმიური რადიონუკლეოდებისაგან გასასუფთავებლად.

სამედიცინო სფეროში აღნიშნული მასალა გამოიყენება პრეპარატების ფილტრაციისათვის.

აფუებული პერლიტის ოვისებებია: 1. მაღალი ფორიანობა – 70-85%; 2. ზოგადი სიმკვრივე 80-320 გ/მ³; 3. მასითი წყალშოანობა 200-600%; 4. ტენიანობა 1%-მდე; 5. სიმტკიცის ზღვარი კუმშვაზე 6 მპა; 6. ჰაერის წილი 80-90%; 7. თბოგამტარობის კოეფიციენტი 0,04 – 0,043 გტ/მ⁰.C.

2.2. აფუებული პერლიტის და მის ბაზაზე დამზადებული ბეტონისა და ლულაბის თვისებები

აფუებული პერლიტი სხვა მსუბუქ ფორიან შემვსებებთან შედარებით გამოირჩევა რიგი უპირატესობებით. გამოწვისას შეიძლება მივიღოთ სხვადასხვა სისხოს ფორიანი შემვსები: აფუებული პერლიტის ქვიშის ზოგადი სიმკვრივე კერამზიტის ქვიშაზე 5-ჯერ ნაკლებია, ხოლო მისი მასა და

დირებულება კი 1,5-ჯერ. სხვა ხელოვნური ფორმიანი შემგვებების (კერამზიტი, აგლოპორიტი) გამოწვისას მიიღება ძირითადად მსხვილი ფრაქციები: ღორღი და ხრეში. მათი მსხვრევისას ფორები ირღვევა, ამიტომ ქვიშის გამოსავლიანობა 1m^3 ღორღიდან შეადგენს 0,6 m^3 -ს, ხოლო ზოგადი სიმკვრივე 1,5-2-ჯერ მეტია ძირითად შემგვებზე. შესაბამისად ქვიშის ღირებულებაც დაახლოებით 2-ჯერ იზრდება.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საშენი მასალების ლაბორატორიაში დადგენილ იქნა ქვიშის გრანულომეტრული შედგენილობა პერლიტის ლაბორატორიული კვლევის შედეგების მიხედვით; ქვიშა ძირითადად წვრილ-მარცვლოვანი ფრაქციებისაგან შედგება: 0,14-დან 1,25მმ-მდე ზომის მარცვლები 75%-ია, ხოლო 1,25-5მმ ზომის მარცვლები კი – 15%-ია. მტკრისებრი ნაწილაკების შემცველობა 10%-ს არ აღმატება; სისხოს მოდული 1,8-2,24-ის ფარგლებშია. თბოგამტარობის კოეფიციენტი სისხოს კლების მიხედვით შეადგენს – 0,052, 0,058, 0,064, 0,07 კგ/მ⁰C, გამომშრალ მდგომარეობაში 25⁰C ტემპერატურაზე.

5-10 მმ ფრაქციის აფუებული პერლიტის ღორღი ხასიათება შემდეგი მაჩვენებლებით: ზოგადი სიმკვრივე – 240-280 კგ/მ³; წყალშთანთქმა 50-60%; ცარიელობა 50%; ღორღის სიმტკიცე 120მმ ლითონის ცილინდრში გაჭყლებისას ვიბრაციის გარეშე 0,25-0,3 მპა; ვიბრირებით – 0,35-0,4 მპა.

სტანდარტი ითვალისწინებს პერლიტის ქვიშის გამოყენებას შემცენებად თბოსაიზოლაციო ნაკეთობების და ცეცხლგამძლე ბათქაშის ბეტონებში და ღუდაბებში, კონსტრუქციულ-თბოსაიზოლაციო ბეტონში; მას აგრეთვე იყენებენ თბოსაიზოლაციო ნაფარის მოსაწყობად და ა.შ. ამ მიზნებისთვის გამოიყენება $100-150$ კგ/მ³ ზოგადი სიმკვრივის პერლიტი, ხოლო სამშენებლო კონსტრუქციებში კი 200 , 300 , 400 კგ/მ³ ზოგადი სიმკვრივის პერლიტის ქვიშა.

აფუებული პერლიტის მირითად თვისებებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ნედლეულის გამოწვის ხერხი, სიმკვრივე, გრანულომეტრული შედგენილობა, წყალშთანთქმა, სიმტკიცე და სხვა.


$100-200$ კგ/მ³ ზოგადი სიმკვრივის მსუბუქი ფორიანი შემცვები გამოირჩევა ხორკლიანი, ძლიერი ზედაპირით, დიდი ფორებით, დაბალი სიმტკიცით და მაღალი წყალშთანთქმით.

ბეტონის დამზადება ასეთ ქვიშაზე დიდი რაოდენობით ცემენტსა და წყალს მოითხოვს. შახტურ ღუმელში აფუებული 100 კგ/მ³ ნაფარი სიმკვრივის ქვიშა თერმოდამუშავების დროს დგვიდრატაციას განიცდის. ამ დროს ქვიშის მასა იზრდება $1,005\%-ით$, ხოლო $0,105\%-ს$. ქვიშის ასეთი გაჯირჯვება იწვევს ბეტონის გაფართოებას, ხოლო შემდგები მის შეკლებას, რაც ბზარების გაჩენას იწვევს.

საზღვარგარეთ (აშშ, კანადა) ნორმირებულია პერლიტის არამარტო ზოგადი სიმკვრივე, არამედ გრანულომეტრული შედგენილობაც. ნახ. 2.4-ზე წარმოდგენილია აფუებული

პერლიტის მარცვლოვანი შედგენილობა, რომელიც
რეგლამენტირებულია ASTM C35-59t-ით.

რეჟეფთში გამოკვლეულია მუხლის და
ბერებოვსკის ადგილმდებარების აფუებული პერლიტის
ბერებოვსკის ადგილმდებარების აფუებული პერლიტის
შობის, 0-1,2 მმ ფრაქციის, წვრილი ქვიშის ნაყარი ზოგადი
სიმკვრივე მერყეობს $125-150 \text{ კგ/მ}^3$ -ს შორის, ბერებოვსკის –
 $100-125 \text{ კგ/მ}^3$. მსხვილი ქვიშის (ფრაქცია 1,2–5მმ) ნაყარი
ზოგადი სიმკვრივე კი შესაბამისად – $300-350 \text{ და } 125-175 \text{ კგ/მ}^3$ -ის ფარგლებში.



ნახ. 2.4. აუფუებული და აფუებული პერლიტის მარცვლოვანი
შედგენილობები (ამერიკული სტანდარტ ASTM C35-59t-ის მიხედვით)
1 – ბუნებრივი პერლიტის შედგენილობა აფუებამდე; 2, 3 – აფუებული
პერლიტის შედგენილობა თაბაშირპერლიტის საბათქაშე ხსნარებისათვის
 $\rho_b = 120-140 \text{ კგ/მ}^3$; 4, 5 – აფუებული პერლიტის შედგენილობა
პერლიტ ბეტონებისათვის $\rho_b = 120-192 \text{ კგ/მ}^3$

ბგერათშთანთქმის კოეფიციენტს საზღვრავენ ტუმას მილში 80-1200 პერცი სიხშირის დიაპაზონში. ხმის ტალღები ნიმუშის ზედაპირის პერპენდიკულარულად ეცემა. დადგენილია, რომ აფუებული პერლიტის ქვიშა ბგერათშთანთქმის მაღალი კოეფიციენტით ხასიათდება; ხშირ შემთხვევებში 0,5-ზე მეტია, სიხშირის მთელ დიაპაზონზე.

ერევნის საშენი მასალების კვლევითი ინსტიტუტის მიერ კი დადგენილია, რომ სხვადსხვა წარმოშობის, $50-250 \text{ კგ/მ}^3$ ნაყარი ზოგადი სიმკვრივის, აფუებული პერლიტის თბოგამტარობა შეადგენს $0,041-0,072 \text{ გგ/მ}^3\text{C-ს}$, ხოლო ბგერათშთანთქმის კოეფიციენტი კი $0,6$ -ია. რაც ნაკლებია პერლიტის ზოგადი სიმკვრივე, მით უკეთესია მისი ბგერათშთანთქმელი თვისებები.

პერლიტის ღორღი ზოგადი სიმკვრივის მიხედვით იყოფა შემდეგ მარკებად: 300, 400, 500 კგ/მ 3 , ხოლო მათი სიმტკიცის ზღვარი კუმშვაზე შესაბამისად არის 5, 8, 13 კგ/სმ 2 -ს; გაყინვა-გალვობის 15 ციკლის შემდეგ მასითი დანაკარგი არ უნდა აღემატებოდეს 10%-ს. პერლიტის ღორღი გამოიყენება შემგხებად თბოსაიზოლაციო და კონსტრუქციულ-თბოსაიზოლაციო ბეტონებისათვის. სხვადსხვა წარმოშობის პერლიტის ღორღის ძირითადი ფიზიკურ-მექანიკური მაჩვენებლები მოცემულია ცხრილ 2.2-ში.

საქართველოში და სომხეთის ადგილმდებარეობის პერლიტის, აფუებული ღორღის ზოგადი სიმკვრივე შეად-

გენს 150-250 კგ/მ²-ს, ხოლო რუსეთისა 250-350 კგ/მ²-ს. შესაბამისად მარცვალთშორისი ცარიელობა ამიერკავკასიის პერლიტის ღორლისა არის 53%, ხოლო რუსეთისა 46%.

ყველაზე მაღალი სიმტკიცით კუმშვისას გამოირჩევა მუხლის წალინსკის წარმოშობის პერლიტი, ხოლო ყვალაზე უფრო დაბალი სიმტკიცით ფარავნის ადგილმდებარეობის პერლიტი.

ცხრილი 2.2

აფუებული პერლიტის ღორლის საშუალო მაჩვენებლები

წარმოშობა	ფრაქც. ზონა, მმ	ფლრ. მუჟუ- K _ფ	გრიგალი, სიმებ- რისკე, გჩ/გვ	ნამდვილი სიმებ- რისკე, გ/სტ ²	ფორიან, %-ში	ნატესისსიმებრი- სკ, გჩ/გვ	მარცვლ. ზუა- სიცარისკე, %-ში	სიმებ-პრეც. გმ/გვ ²	მასთო წყლანდ. %-ში, 24სთ-ში
არგაცის	10-20	1,15	250	1,7	85	532	53	4,3	62
მუხორ- ტალინსკის	10-20	1,53	370	1,61	77	685	46	8,0	37
ფარვნის	5-10	1,20	260	1,85	81	540	52	3,5	61

პერლიტის აფუებული ღორღის სიმტკიცე პუმშვაზე არის მისი მასის ფუნქცია. ღორღის სიმტკიცესა და ზოგად სიმუშრივეს შორის არსებობს შემდეგი დამოკიდებულება:

$$R_d = a\rho_b - b,$$

სადაც $R_3 = \frac{1}{3}M^2S^2$ ის სიმტკიცეა და განისაზღვრება ცილინდრში გაჭყლებით, მაა; $\rho_6 = \frac{1}{3}M^2S^2$ ის ზოგადი სიმკრივე, $\frac{\partial S}{\partial t}^3$; a და b – ექსპლიმენტული გზით განსაზღვრული კოეფიციენტებია.

ერთი და იგივე ზოგადი სიმკვრივის შემთხვევაში პერლიტის წერილი ღორდის სიმტკიცე 15–20%-ით აღემატება იგივე წარმოშობის უფრო მსხვილი შემცვების სიმტკიცეს. ნარევის სიმტკიცე დამოკიდებულია სხვადასხვა ფრაქციის შემცვების თანაფარდობასა და მათ თვისებებზე: მსუბუქი ქვიშა ამცირებს, ხოლო ნამსხვრევი პერლიტის ქვიშა ზრდის ნარევის მასასა და სიმტკიცეს.

ცხრილი 2.3

a და b კოეფიციენტების ექსპერიმენტული მნიშვნელობები

კოეფიციენტები	მუხრ-ტალინსკის წარმოშობა		არაგაცის წარმოშობა	ფარავნის წარმოშობა
	ფრაქცია მმ-ში			
	10-20	5-10	5-10	5-10
a	0,04	0,044	0,032	0,035
b	4	3	4,4	4,6

პერლიტის წყალშთანთქმის უნარი იზრდება გრანულების ზომისა და ზოგადი სიმკვრივის შემცირებით. ნებისმიერი ადგილმდებარეობის აფუებული პერლიტისთვის დამახასიათებელია მაღალი წყალშთანთქმის უნარი, პირველი 15 წთის განმავლობაში მთლიანი წყალშთანთქმის 80-90%, ხოლო 24 საათში პერლიტის ღორდის მასითი წყალშთანთქმა შეადგენს დაახლოებით 62%-ს. ერთნაირი სისხოს და დაახლოებით ერთი და იგივე ზოგადი სიმკვრივის შემთხვევაში უმეტესი წყალშთანთქმით გამოირჩევა არაგაცის ადგილმდებარეობის პერლიტი.

პერლიტური ნარევები. პერლიტის აფუქბულ ქვიშას იყენებენ, როგორც წერილ შემგვებს მსუბუქ დუდაბეჭი, აფუქბული პერლიტის მსხვილ შემგვებთან ერთად პერლიტობეტონებში, კერამზიტთან კერამზიტოპერლიტობეტონებში, აგლოპორიტთან ერთად აგლოპორიტპერლიტობეტონებში და ა.შ.

მსუბუქი ბეტონის თვისებები დამოკიდებულია ძირითადად დუდაბური ნაწილის თვისებებზე. მეცნიერების მიერ, სხვადასხვა მეთოდით, საზღვარგარეთის ქვეყნებში გამოკვლეულია აფუქბული პერლიტისაგან დამზადებული დუდაბის სიმტკიცის და დეფორმაციულობის მაჩვენებლები:

- მუხრან-ტალინსკის წარმოშობის, მბრუნავ დუმელში გამომწვარი, აფუქბული პერლიტის ზოგადი სიმკრივე შეადგენს – $\rho_u = 200-250 \text{ კგ/მ}^3$ -ს, „მდუდარე შრის“ დუმელში – $\rho_u = 200-300 \text{ კგ/მ}^3$ -ს, დოლურ მბრუნავ დუმელში, შემდეგი დაქუცმაცებით - $\rho_u = 400 - 500 \text{ კგ/მ}^3$ -ს;
- სომხეთის არაგაცის ადგილმდებარეობის, შახტურ დუმელში გამომწვარი აფუქბული პერლიტის $\rho_u = 100-150 \text{ კგ/მ}^3$; „მდუდარე შრის“ დუმელში - $\rho_u = 200-300 \text{ კგ/მ}^3$; შახტურ დუმელში შემდგომი მსხვრევით მიღებული - $\rho_u = 350-400 \text{ კგ/მ}^3$;
- საქართველოს ფარავნის ადგილმდებარეობის, შახტურ დუმელში გამომწვარი აფუქბული პერლიტის $\rho_u = 150-$

250 კგ/მ³; შახტურ დუმელში შემდგომი მსხვრევით
მიღებული – 350-450 კგ/მ³;

საცდელი დუღაბისაგან დამზადებულ იქნა ნიმუშები
აფუებული პერლიტის ქვიშის გამოყენებით (ზღვრული
სისხო 5 და 1,2 მმ); პორტლანდცემენტი მარკით 400; თოთო
სერიაში შედიოდა 9-9 ნიმუში – კუბები ზომით 40X40X40 მმ
და ძელაკები ზომით 40X40X160 მმ.

ცემენტის ხარჯი ტყუპისცალ ნიმუშებში შეადგენდა 200,
300, 400 და 500 კგ/მ³-ს; 1,2 მმ ზღვრული სისხოს მქონე
პერლიტში წვრილდისპერსული ფრაქციის შემცველობა
იცვლებოდა 0-დან 50%-ის ფარგლებში, ხოლო 5 მმ
ზღვრული სისხოს პერლიტში – 0-დან 25%-ის ფარგლებში.

ცდის შედეგების შეჯერების მიზნით კველა ნიმუში
ერთნაირი ძვრადობის იყო (განშლა შემრხევ მაგიდაზე
შეადგენდა 135 მმ-ს). ნიმუშები დაყალიბების შემდეგ განიც-
დიდნენ ვიბრირებას ვიბრომაგიდაზე 15 წამის განმავლო-
ბაში. თბოდამუშავების ციკლის გავლენის განსაზღვრის
მიზნით სამი ნიმუში გამოიცდებოდა გაორთქვლის
პროცესის დამთავრების შემდეგ მაშინვე, ხოლო ექვსი
ნიმუში (სამი გაორთქლილი და სამი ნორმალური
გამყარების) – 28 დღის ასაკში. გაორთქვლის რეჟიმი ასეთი
იყო: ტემპერატურის აწევა 95°C-ზე – 2 სთ; იზოთერმული
დამუშავება 95°C-ზე – 6 სთ; გაცივება 3 სთ;

გამოკვლევებით დადგენილია, რომ პერლიტის წვრილ-
დისპერსული ფრაქციის ოპტიმალური რაოდენობით შეყვანა,

ზრდის პერლიტური დუღაბის სიმტკიცეს გაჭიმვაზე 1,5-ჯერ, ხოლო კუმშვაზე 3-ჯერ. კუმშვისას და გაჭიმვისას სიმტკიცის ინტენსიური მატება დამახასიათებელია გაორთქლილი ნიმუშებისათვის. პერლიტის წვრილდისპერსული ფრაქციის გამოყენების ეფექტურობა ბუნებრივი გამყარების ნიმუშებში ნაკლებად შესამჩნევია.

ცხრილ 2.4-ში მოცემულია გაორთქლილი ნიმუშების, სიმტკიცეზე გამოცდის შედეგები 28 დღის ასაკში.

მუხლი-ტალინსკის ადგილმდებარეობის პერლიტზე დამზადებული დუღაბების ნიმუშების სიმტკიცის ზღვარი კუმშვაზე, როცა ცემენტის ხარჯი იცვლებოდა $200-500 \text{ კგ/მ}^3$ -ის ფარგლებში, მერყეობდა 3,5-17 მპა-ს შეალედში; გაჭიმვაზე ღუნვისას – 1,6-დან 4,2 მპა-ს შორის. ცემენტის ხარჯიდან გამომდინარე დუღაბის ზოგადი სიმკვრივე (მოცულობითი მასა) იცვლებოდა 800-დან 1460 კგ/მ³-ის ფარგლებში, ხოლო გაჭიმვაზე და ღუნვაზე სიმტკიცეების შეფარდება კი – 0,46-დან 0,26-მდე.

არაგაცის ადგილმდებარეობის პერლიტზე დამზადებული ნიმუშების (ცემენტის ხარჯი 200–500 კგ/მ³) სიმტკიცის ზღვარი კუმშვისას იცვლებოდა 1,6-დან 11,2 მპა-მდე, ხოლო სიმტკიცე გაჭიმვაზე ღუნვისას შეადგენდა 5-დან 3 მპა-მდე. ფარავნის პერლიტზე დამზადებული ნიმუშების სიმტკიცე კუმშვაზე მერყეობს 1,5-დან 11 მპა-მდე, ხოლო ღუნვისას 0,5-დან 1,5 მპა-მდე. მაქსიმალური სიმტკიცით გამოირჩევა პორიზონტალურ მბრუნავ ღუმელში, მინიმალურით კი –

შახტერ ლუმელში აფუებული პერლიტის ქვიშები.
კუმშვისას განსაკუთრებით მაღალი სიმტკიცით ხასიათდებიან 5 მმ-იანი მაქსიმალური სისხოს პერლიტის აფუებულ ქვიშაზე დამზადებული ნიმუშები. ინტენსიურად იზრდება სიმტკიცე, როცა ცემენტის ხარჯი შეადგენს 400 კგ/მ³-ს; კუმშვაზე სიმტკიცის ზრდა თითქმის პროპორციულია ცემენტის

ცხრილი 2.4

პერლიტზე დამზადებული დუღაბის ნიმუშების სიმტკიცეზე კვლევის შედეგები

51

პერლიტის წარმოშობა	წარმოების მეთოდი	ზღვრული სისხლ, მმ	სიმტკიცის ზღვარი, მპა	ცემენტის ხარჯი, კგ/მ ³			
				200	300	400	500
ფარავნის	ამოწვა შახტურ ღუმელში	1,2	R $R_{\delta\varrho}$ $R_{\delta\varrho}/R$	1,5 0,5 0,33	3,0 1,0 0,33	9,0 1,5 0,16	11,0 2,3 0,21
მუხორ- ტალინის	გამოწვა ჰორიზონტალურ მბრუნავ ღუმელში	1,2	R $R_{\delta\varrho}$ $R_{\delta\varrho}/R$	— — —	8,0 3,2 0,4	13,0 3,4 0,26	16,5 4,0 0,22
	გამოწვა „მდუღარე შრეში“	1,2	R $R_{\delta\varrho}$ $R_{\delta\varrho}/R$	— — —	4,5 2,2 0,49	10,5 3,2 0,31	14,5 3,9 0,28
	გამოწვა ჰორიზონტალურ მბრუნავ ღუმელში შემდგომი მსხვრევით	1,2	R $R_{\delta\varrho}$ $R_{\delta\varrho}/R$	3,5 1,6 0,46	7,0 2,6 0,37	14,0 3,4 0,24	17,0 4,2 0,26
არაგაცის	გამოწვა შახტურ ღუმელში	1,2	R $R_{\delta\varrho}$ $R_{\delta\varrho}/R$	1,6 5 0,31	3,2 1,0 0,31	9,0 1,5 0,17	11,2 2,5 0,23
	გამოწვა ჰორიზონტალურ მბრუნავ ღუმელში	1,2	R $R_{\delta\varrho}$ $R_{\delta\varrho}/R$	4,5 1,0 0,22	8,0 2,0 0,25	11,5 3,0 0,26	— — —

სარჯის ზრდისა; სიმტკიცის ზრდაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვიშის გრანულომეტრული შედგენილობა. წვრილმარცვლოვან ქვიშაზე ყოველ 100 კგ ცემენტზე სიმტკიცის მატება დაახლოებით შეადგენდა 1,5-3 მპა-ს, ხოლო შედარებით მსხვილ ქვიშებზე კი – 4-6 მპა-ს.

ბეტონის დრეკადობის მოდული მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული პერლიტის ქვიშის გრანულომეტრულ შედგენილობაზე. მაგალითად, 1,2 მმ ზღვრული სისხოს მქონე, მუხორ-ტალინსკის პერლიტის ქვიშაზე დამზადებული დუღაბის საწყისი დრეკადობის მოდული, როცა ცემენტის სარჯი შეადგენს 400 კგ/მ³-ს, მერყეობს 6000-დან 17000 მპა-მდე (ნიმუშების კუბური სიმტკიცეა 18-28 მპა, ხოლო პრიზმული 13-23 მპა), ხოლო 5 მმ მაქსიმალური სისხოს პერლიტის ქვიშაზე დამზადებული პერლიტის დუღაბის ანალოგიური მაჩვენებელი ცემენტის იგივე სარჯისას იცვლება 8500-18000 მპა-ის ფარგლებში (ნიმუშების კუბური სიმტკიცე არის 20-34 მპა, ხოლო პრიზმული 17,5-25 მპა). ორივე შემთხვევაში აღინიშნება, დრეკადობის მოდულის სიდიდის შემცირების ტენდენცია, შემცვების საერთო მოცულობაში წვრილდისპერსული ფრაქციის 25%-ით მომატებისას.

გამოკვლეულია არაგაცის ადგილმდებარეობის აფუქბული პერლიტის ურთიერთქმედება სხვადასხვა ტიპის შემკვრელებთან. შემკვრელის სახით გამოყენებულია 400 მარკის ოეთრი პორტლანდცემენტი, ჩამქრალი კირი და ორწყლიანი

თაბაშირი. პერლიტის ქვიშა დამატებით დაიფქვა, რათა მთლიანად გასულიყო 063 საცერში.

კუბის ფორმის ნიმუშების ზომები იყო $20\times20\times20\text{მმ}$. ნიმუშების გამყარების რეჟიმი: ბუნებრივი პირობები, გაორთქვლა 50°C და 95°C ტემპერატურის პირობებში და ავტოკლავური დამუშავება $174,5^{\circ}\text{C}$ -ზე.

კირის შემკვრელზე დამზადებულ, $930-1160\text{კგ}/\text{მ}^3$ ზოგადი სიმკვრივის ნიმუშებს აღმოაჩნდათ სიმტკიცე კუმშვაზე $9,65-12,9$ მპა. გამყარების რეჟიმმა გავლენა ვერ იქონია ნიმუშების სიმტკიცეზე, მაგრამ მნიშვნელოვნად შეცვალა მათი ფაზური შედგენილობა. ნორმალურ პირობებში გამყარებული ნიმუშები შეიცავდნენ გელისმაგვარ მაცემენტებულ ნივთიერებას. 95°C -ზე გაორთქლილ ნიმუშებში გამოჩდნენ პიდრომარცვლები (კალციუმის პიდროსილიკატები და პიდროალუმინიკატები).

კირ-თაბაშიროვან შემკვრელზე დამზადებული, $930-1050\text{კგ}/\text{მ}^3$ ზოგადი სიმკვრივის ნიმუშების სიმტკიცის ზღვარი კუმშვაზე შეადგენდა $8,8-13,2$ მპა-ს. პერლიტოვან დუღაბში თაბაშირის შეყვანამ დააქვეითა ბუნებრივი და 50°C -ზე თბური დამუშავების პირობებში გამყარებული ნიმუშების სიმტკიცეები, შეამცირა მათში კრისტალური ფაზების შემცველობა და ხელი შეუწყო პიდროსულფოალუმინატების ტიპის კომპლექსური ნაერთების წარმოქმნას. 95°C -ზე გაორთქლილი და ავტოკლავში დამუშავებული ნიმუშების შემთხვევაში,

თაბაშირის დამატებამ პირიქით, გამოიწვია სიმტკიცის მნიშვნელოვანი ზრდა და თაბაშირის მთლიანი ათვისება.

ცემენტზე დამზადებული, 1020–1150 კგ/მ³ ზოგადი სიმკერივის ნიმუშების სიმტკიცის ზღვარი კუმშვაზე შეადგენდა 11–16 მპა-ს. ნორმალურ პირობებში გამყარებულ ნიმუშებში ძალზე ბევრია ცემენტის კლინკერის ერთ-ერთი ძირითადი მინერალის-ბელიტის რეაქციაში შეუსვლელი ნაწილაკები. მაცემენტებული ნივთიერებები არაერთგვაროვანია; მარცვალთშორის სიგრცეში განვითარებულია გელისებრი ფაზა. 50⁰ და 95⁰C ტემპერატურაზე გაორთქლილი დუღაბებისათვის დამასახიათებულია ბელიტის არასრული ჰიდრატაცია და ჰიდროსილიკატების მცირე შემცველობა. ამგვარი ნიმუშების ავტოკლავური დამუშავება ხელს უწყობს ბელიტის სრულ ჰიდრატაციას და პერლიტის მინისებრი ფაზის ჩართვას გამყარების პროცესში.

პერლიტოვან დუღაბში შერეული შემკვრელის შეყვანა (50% ორწყლიანი თაბაშირი და 50% ცემენტი) საგრძნობლად აქვეითებს სიმტკიცეს (9,8–12 მპა), ზოგადი სიმკვრივე პრაქტიკულად უცვლელია (1010–1100 კგ/მ³). 20–50⁰C-ზე ორთქლში გატარებულ ნიმუშებში ცემენტის ფაზური შედგენილობა წარმოდგენილია გელური კალციუმის ჰიდროსილიკატებით. ბელიტის ჰიდრატაციაზე თაბაშარი საერთოდ არ მოქმედებს. 95⁰C-ზე გაორთქლილ და ატოკლავური დამუშავებით (174,5⁰C) გამყარებულ ნიმუშებში ბელიტის ჰიდრატაციის

პროცესი ჩქარდება. ამ შემთხვევაში თაბაშირი ცემენტის მინერალების ჰიდრატაციის და პერლიტის მინისებრი ფაზის ჰიდროლიზის რეაქციების ინტენსივური ცირკულაციას იწვევს.

დაბალფუძიანი გელისებრი პროდუქტების შემცველობის გაზრდით და პერლიტის მინისებური ფაზის და თაბაშირის ურთიერთქმედების შედეგად დუღაბის შეკლება იზრდება. გამყარების ტემპერატურის მატებასთან ერთად უმჯობესდება ჰიდრატაციის პროდუქტების კრისტალიზაციის პროცესი, რაც თავის მხრივ დუღაბის შეკლების შემცირების მიზეზი ხდება. $\text{Ca}(\text{OH})_2$ -ის სრული შეკავშირება კაუმიწასთან და გარდაქმნა კალციუმის ჰიდროსილიკატად და ჰიდროალუმინილიკატად უზრუნველყოფს პორტლანდცემენტზე ან კირის შემკვრელზე დამზადებული პერლიტბეტონის ნაწარმის ხანგამძლეობას. ამიტომ მიზანშეწონილია ტუტების მაღალი შემცველობით გამორჩეული ცემენტების გამოყენება, ან ტუტე გარემოს შექმნის მიზნით $\text{Ca}(\text{OH})_2$ -ის მცირე შემცველობით (არა უმეტეს 25%-ისა ცემენტის მასიდან) შეყვანა ნარევში. ამ დონისძიებით განპირობებულია პერლიტის მინისებრი ფაზის ჩართვა ჰიდროლიზის პროცესში.

ცემენტ-პერლიტის დუღაბის გაფართოების დეფორმაციის ხანგრძლივმა გაზომვებმა გვიჩვენა, რომ პერლიტის შედგენილობაში მყოფი SiO_2 -ის ცემენტის ჰიდრატაციის პროდუქტებთან ურთიერთქმედების შედეგად, დიდი შიგა დეფორმაციები, რომლებიც მნიშვნელოვნად დააზიანებენ ბეტონის სტრუქტურას, არ წარმოიქმნება.

პერლიტის აფუებული ქვიშის და პერლიტური დუღაბების რეპიდრატაციის შესახებ კვლევები ჩატარებულია ავსტრალიელი მეცნიერის რ. ჰილის მიერ. დაყალიბებულ იქნა ნიმუში-პრიზმები პერლიტის ქვიშაზე და ნახევარწყლიან თაბაშირზე დამზადებული დუღაბისაგან (ნარევში შედიოდა აგრეთვე მცირე რაოდენობით თავისუფალი კირი). ზოგიერთი ნიმუში დამზადებულ იქნა მაღალთიხამიწოვან ცემენტზე. დეფორმაციების გაზომვა ხდებოდა ციფერბლატური კომპარატორებით, სიზუსტით 0,0002 დმ, 5 დღეზე უფრო მეტი ასაკის ნიმუშებზე (შეკლების ძირითადი დეფორმაციების შეწყვეტის შემდეგ).

კვლევებით დადგენილია, რომ პერლიტის ქვიშის წყალშემცველობა აფუების შემდეგ შეადგენს 0,3%-ს მასის მიხედვით. პაერზე შენახვისას ქვიშა იერთებს ატმოსფერულ ტენს დაახლოებით 1,4%-ს წელიწადში. განმეორებითი რეპიდრატაცია შეიძლება მნიშვნელოვნად დაჩქარდეს პიდროთერმული დამუშავებით: 96 საათის განმავლობაში 200°C-ზე გააორთქვლისას ქვიშის წყალშემცველობა იზრდება 1,2-1,4%-მდე მასის მიხედვით.

პერლიტის ქვიშის გამოყენება გამოწვის დამთავრებისთანავე იწვევს დუღაბის მნიშვნელოვან გაფართოებას. ბუნებრივ პირობებში ქვიშის ნაწილობრივი რეპიდრატაცია, ან მისი ორთქლით დამუშავება ამცირებს დუღაბის გაფართოების სიჩქარეს. მეორეული გაფართოება ასევე შეიძლება შენელდეს საკუთრივ ნიმუშების თბოტენიანი დამუშავებისას. 112 კგ/მ³-ზე

ნაკლები ზოგადი სიმკვრივის ქვიშებზე დამზადებული დუღაბები ხასიათდებიან უდიდესი მოცულობითი გაფართოებით.

თაბაშირზე დამზადებული დუღაბების გაფართოების ხარისხი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული თაბაშირის თვისებებზე: რაც მეტია შემკვრელის პიგროსკოპულობა, მით მეტია თაბაშირ-პერლიტოვანი დუღაბების დეფორმაციულობა. თაბაშირპერლიტის დუღაბის გაფართოება იზრდება აგრეთვე გარემოს ფარდობითი ტენიანობის 55-დან 80%-მდე გაზრდის დროს დეფორმაციები იზრდება დაახლოებით ორჯერ. ორთქლდამუშავების გარეშე ნაკეთობების დამზადებისას, პილი იძლევა მსუბუქი პერლიტის ქვიშების ტომრებში ჩაყრამდე, მათი თბოტენიანი დამუშავების რეპომენდაციას.

აფუებული პერლიტის ღორღი წარმოადგენს მყიფე, ძალიან ფორიან მასას; ფორები იკავებენ მოცულობის ნახევარზე მეტს და აქვთ პრიალა, მომრგვალებული ფორმა, დიამეტრით 0,05-0,2 მმ; გვხვდება 2-5 მმ ზომის ცალკეული უჯრედებიც. აფუებული პერლიტის ღორღის ძირიადი მასა გამჭვირვალე მინისებურია; მასში შეიმჩნევა მტვრისებრი ნაწილაკები, რომლებიც მოელს მასაშია გაბნეული.

ქვიშა და ღორღი მოთეთრო – მოვარდისფრო შეფერილობისაა. ზოგ შემთხვევაში გამოირჩევა მოყვითალო – ნარინჯისფერით, რაც გამოწვეულია რკინაშემცველი ნივთიერებების არსებობით.

თავი III

პროცედურული მეთოდების საფუძვლები

პერლიტბეტონის წარმოადგენს მსუბუქ შემვსებებზე დამზადებული მსუბუქი ბეტონის ერთ-ერთ სახესხვაობას.

მსუბუქ შემვსებებზე დამზადებული ბეტონის ნარევები-სათვის დამასასიათებელია ადვილჩაწყობადობის დაქვეთვებული და განშრევების გაზრდილი უნარი. წინასწარ მოცემული სიმტკიცის, ზოგადი სიმპარიგის, თბოგამტარობისა და ყინვამჟღვობის პერლიტბეტონის მიღება, ცემენტის მინიმალური ხარჯისას, შესაძლებელია საჭირო შემკვრელის, შემვსებების ოპტიმალური მარცვლოვანი შედგენილობების და სხვა ტექნოლოგიური ილეთების გამოყენებით.


3.1. აფუებული პერლიტის შემვსებები (ქვიშა და ფორდი)

პროფ. ნ. პოპოვის წინადადებით, ფორიანი შემვსების (ხრეში ან ლორდი) მარცვლოვანი შედგენილობა აიწერება ფორმულით:

$$y = (x/D)^n, \quad (3.1)$$

სადაც y – საცერში გასული ფორიანი შემვსების რაოდენობაა, ფარდობითი სიდიდე; x – საცრის ნახვრეტის ზომებია, მმ-ში; D – ფრაქციის უდიდესი სისხო, მმ-ში; n – ექსპრიმენტულად განსაზღვრული გრანულომეტრიის მახასიათებელია.


პერლიტბეტონებისათვის n -ის ოპტიმალური მნიშვნელობის დასადგნად გამოკვლეულია მუხლის ტალინსკის და ფარავნის ადგილმდებარეობის პერლიტის აფუებული ღორღი. ღორღის ზოგადი სიმკვრივე და სიმტკიცე კუმულაციის შესწავლილია 10–20 და 5–10 მმ ფრაქციის 14 ნარევზე. ნარევების შედგენილობა იცვლებოდა სხვადასხვა ფრაქციის პერლიტის ღორღის 0-დან 100%-მდე შემცველობით. პერლიტის ღორღის სიმტკიცე ისაზღვრებოდა მოქმედი სტანდარტის მიხედვით. აფუებული პერლიტის ღორღის ნარევების მახასიათებლები მოცემულია ნახაზებზე 3.1-ზე და 3.2-ზე.



ნახ. 3.1. პერლიტის ღორღის ზოგადი სიმკვრივე მიხი გრანულომეტრული შედგენილობის მიხედვით
1 – ფარავნის პერლიტი; 2 – მუხლის ტალინსკის პერლიტი.

ექსპერიმენტული მონაცემების მიხედვით, სხვადასხვა მინერალოგიური შედგენილობის ფარავნის პერლიტის ღორღის ნაყარი ზოგადი სიმკვრივეები მცირედ თუ იცვლება.

მათი შეფარდების მაქსიმალური მნიშვნელობა შეადგენს 1,1-ს. სიმტკიცის ზღვარი კუმულაციას ასევე თითქმის უცვლელია. რაც შეეხება მუხორ-ტალინსკის ადგილმდებარეობის პერლიტის ღორღის ანალოგიურ მაჩვენებლებს, ისინი გრანულომეტრული შედგენილობის ცვლილების მიხედვით მნიშვნელოვნად იცვლებოდნენ. პერლიტის ღორღის ნარევების სხვადასხვა პროპორციების მიხედვით ნაყარი ზოგადი სიმკვრივეების მაქსიმალური შეფარდება შეადგენდა 1,38-ს. ხოლო სიმკვრივეების – 1,76-ს.



ნახ. 3.2. პერლიტის ღორღის სიმტკიცე მისი გრანულომეტრული შედგენილობის მიხედვით
1 – ფარავნის პერლიტი; 2 – მუხორ-ტალინსკის პერლიტი.

ფარავნის და მუხორ-ტალინსკის ადგილმდებარეობის ღორღის მაქსიმალური ნაყარი სიმკვრივე დაფიქსირდა ერთი და იგივე გრანულომეტრული შედგენილობის ღროს: 5 –


10მმ ფრაქციის შემცველობა – 32%, 10 – 20მმ ფრაქციის შემცველობა – 68%, კ.ი., როცა $n=1,1$.

აღსანიშნავია, რომ მუხლის გამოსახული მარტივი მარტივი გამოსახული ოპტიმუმი. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ მუხლის გამოსახული აფუებული პერლიტის დორდის, 10-20მმ ფრაქციის ნაყარი სიმკვრივე შეადგენს 373 კგ/მ³-ს, ხოლო 5-10მმ ფრაქციისა – 330 კგ/მ³-ს; ფარავნის პერლიტის დორდის კი შესაბამისად 311 და 295 კგ/მ³-ს. ამგვარად, მუხლის გამოსახული პერლიტის დორდის ფრაქციების სიმკვრივეებს შორის სხვაობა შეადგენს 15%-ს, ხოლო ფარავნისა – 5%-ს. გარდა ამისა, ნაყარი ზოგადი სიმკვრივეების ცვლილებაზე მოქმედებს ასევე პერლიტის დორდის ფორმის კოეფიციენტი (მუხლის გამოსახულის პერლიტისათვის ეს კოეფიციენტი იცვლება – 1,36-1,56 ფარგლებში, ხოლო ფარავნისა – 1,53-1,92).

დუღაბის მაქსიმალური სიმტკიცე მიღებულ იქნა მუხლის გრანულომეტრული შედგენილობებისას: ფრაქცია 5-10მმ – 32%, ფრაქცია 10-20მმ – 68%, **n=1,1**; 5-10მმ – 42%, ფრაქცია 10-20მმ – 58%, **n=0,5**.

ფარავნის პერლიტის სიმტკიცე მაქსიმალური მნიშვნელობა მიღებულია 5-10მმ ფრაქციის შემცველობა 35-დან 50%-მდე შემცვების მაქსიმალური მოცულობიდან. ამ დროს **n=0,3** და **n=0,8**.

ამგვარად, ზოგადი სიმკვრივის, სიმტკიცის, ფორმის კოეფიციენტის, ფორიანობის და პერლიტის დორდის სხვა მახასიათებლების შესაძლო მერყეობის გათვალისწინებით, დაბალი სიმტკიცის პერლიტის დორდის მარცვლოვანი შედგენილობის შემთხვევაში, (3.1.) ფორმულაში უნდა შევიტანოთ $n=0,5$ მნიშვნელობა, ხოლო მოქმედი სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისი თანაფარდობის მისაღწევად – $n=0,8$.



ნახ. 3.3. პერლიტის ღორდის მარცვლოვანი შედგენილობა
1 – ზღვრული სისხლ 10მ; 2 – იგივე, 20მ

პერლიტის ღორდის მარცვლოვანი შედგენილობა შეიძლება დანიშნულ იქნას ასევე, ნახ. 3.3-ზე გამოსახული გრაფიკის მიხედვით (ის მოყვანილია ნორმებში – „რეკომენდაციები საცხოვრებელი და სამრეწველო მშენებლობის

შემომზდუდავ კონსტრუქციებში პერლიტბეტონის დაპროექტების, დამზადების და გამოყენების შესახებ“).

3.2. შემკვრელი ნივთიერებები

პერლიტბეტონების წარმოებაში ძირითადი შემკვრელი ნივთიერებაა პორტლანდცემენტი. იყენებენ სხვადასხვა სახის ცემენტებს. მიზანშეწონილია B30 და უფრო მაღალი კლასის ცემენტების გამოყენება, რადგან დაბალი აქტივობის ცემენტის ხარჯი დიდია და თანაც იზრდება პერლიტბეტონის მასა. ასევე, პერლიტის ჰიდრავლიკური აქტიობის გამო, არ არის სასურველი ჰიდრავლიკურად აქტიურდანამატებიანი ცემენტების გამოყენება (მაგ. პუცოლანიანი პორტლანდცემენტი). ამორფული კაუმიწის სიჭარბემ შეიძლება პერლიტბეტონის არამდგრადობა გამოიწვიოს. ცხრილ 3.1-ში წარმოდგენილია B30 კლასის პორტლანდცემენტის საორიენტაციო ხარჯი 1 მ³ პერლიტბეტონისათვის.

ცემენტის ეპონომიისა და პერლიტის სტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონილია, დუღაბის შედგენილობაში შეყვანილ იქნას ჩაუმქრალი ჰიდრატული კირი, ან კირ-პერლიტოვანი შემკვრელი არა უმეტეს 30%-ისა ცხრილ 3.1-ში მოყვანილი ცემენტის ხარჯიდან.

არმირებული პერლიტბეტონის დროს, ლითონის კოროზიისაგან დასაცავად, შემკვრელის საერთო ხარჯი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 250 კგ/მ³-ისა. ნახ. 3.4-ზე წარმოდ-

გენილია დუღაბისა და ბეტონის სიმტკიცის, B30 კლასის ცემენტის ხარჯზე დამოკიდებულების გრაფიკები.

ცხრილი 3.1

B30 კლასის პორტლანდცემენტის საორიენტაციო ხარჯი 1 მ³ პერლიტბეტონზე


შემცვების შემცვების მაქსიმალური სისხი, მმ-ში	შემცვების მაქსიმალური სისხი, მმ-ში	ბეტონის კლასი, მპა							
		1,5	2,5	3,5	5	7,5	10	15	20
		ცემენტის ხარჯი კგ/მ ³							
ფარავნის ადგილმდებარეობის პერლიტის ქვიშა და დორდი	10	200	220	240	260	280	300*	450*	500*
	20	180	200	220	240	260	280*	400*	450*
ციმბირის ადგილმდებარეობის პერლიტის ქვიშა და დორდი	10	220	240	270	300	330	350	—	—
	20	200	220	250	280	310	330	—	—

შენიშვნა: B40 კლასის პორტლანდცემენტის გამოყენების შემთხვევაში გადამტკიცებული გოფიციენტი შეიძლება ავილოთ 0,9-ის ტოლი, ხოლო B45 კლასის პც-ის დროს – 0,8.

B1 – B10 კლასის პერლიტბეტონების სიმტკიცე კუმშვაზე იზრდება ცემენტის ხარჯის ზრდის პროპორციულად. პორტლანდცემენტის ერთი და იგივე ხარჯისას დუღაბი უფრო დაბალი სიმტკიცით ხასიათდება კუმშვაზე, ვიდრე პერლიტბეტონი.

ცემენტის ხარჯის ზრდის შედეგად დუღაბების სიმტკიცე გაცილებით ნაკლებად იმატებს, ვიდრე პერლიტბეტონებისა: მაგალითად ცემენტის ხარჯის 100 კგ/მ³-ით გაზრდის დროს დუღაბების სიმტკიცე იმატებს 1,3–2,1 მპა-ით, ხოლო ბეტონებისა 1,5–3,8 მპა-ით. სიმტკიცის ყველაზე მეტი ზრდით გამოირჩევა პერლიტის დამსხვერეულ ქვიშაზე

დამზადებული ბეტონები: ცემენტის ხარჯის $100 \text{კგ}/\text{მ}^3$ -ით გადიღებით ბეტონის სიმტკიცე იზრდება 6,5 მპა-ით.



ნახ. 3.4. დუღაბისა და ბეტონის სიმტკიცის ცემენტის ხარჯზე დამოკიდებულების გრაფიკები

- 1 – დუღაბი ქვიშის მაქსიმალური სისხოთი 1,2 მმ; 2 – დუღაბი ქვიშის მაქსიმალური სისხოთი 2,5 მმ; 3 – დუღაბი ქვიშის მაქსიმალური სისხოთი 5 მმ; 4 – ბეტონი დორდის მაქსიმალური სისხოთი 10 მმ; 5 – ბეტონი დორდის მაქსიმალური სისხოთი 20 მმ; 6 – ბეტონი დამსხვერეულ ქვიშაზე, დორდის მაქსიმალური სისხოთი 20 მმ.

ცნობილია, რომ საქართველოში სილიკატური ბეტონებისა და ნაკეთობების დამზადება შეჩერებულია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ახლო საზღვარგარეთის და ევროპის ქვეყნებში მათი წარმოება ფართო სპექტრით მიმდინარეობს. სილიკატური ბეტონებისა და ნაკეთობების დასამზადებლად იყენებენ ჰაერკირს.

ჰაერკირზე დამზადებული სამშენებლო დუღაბი და ბეტონი ხასიათდება დაბალი სიმტკიცით. 28 დღედამის

შემდეგ იგი 0,5-1,5 მპა-ს შეადგენს. მდგომარეობა რადიკალურად იცვლება კირ-კაჟმიწა შემკვრელზე დამზადებული ბეტონების და ნაკეთობების ავტოკლავური დამუშავებისას. 0,8-1,4 მპა წნევისა და $175-190^{\circ}\text{C}$ ტემპერატურის ზემოქმედებისას კირი რეაქციაში შედის კაჟმიწა კომპონენტთან და წარმოიქმნება მტკიცე პიდროსილიკატები. ამ რეჟიმით ამზადებენ 10-30 მპა სიმტკიცის სილიკატურ და ფორიზებულ ბეტონებს. ავტოკლავური სილიკატური მასალების დასამზადებლად იყენებენ სწრაფქრობად კირს, რომელიც მაგნიუმის ჟანგს შეიცავს არაუმეტეს 5%-ისა.

კირი არაჩვეულებრივი დანამატია პერლიტური ბათქაშებისათვის. განსაკუთრებული აღნიშვნის დირსია კომბინირებული ცემენტ-კირის შემკვრელები პერლიტბეტონების დასამზადებლად. საქართველოში საუკეთესო ხარისხის კირქვების მეტად დიდი მარაგებია. შესანიშნავი თვისებებით ხასიათდება დედოფლისწყაროს რაიონში არსებული კირქვები. მათი გამოწვით მიღებული პაერკირის ქიმიური შედგენილობა მოყვანილია ცხრილ 3.2-ში.

პერლიტბეტონებისა და პერლიტოვანი დუღაბების წარმოებაში ფართოდ გამოიყენება სამშენებლო თაბაშირი. კომპოზიციური თაბაშირიანი მჭიდები ხასიათდებიან მაღალი მდგრადობით წყლისა და ქიმიური რეაგენტების მიმართ. მათ რიცხვს მიეკუთვნება თაბაშირცემენტპუცოლანიანი,

ცხრილი 3.2

კირის ქიმიური შედგენილობა

ქიმიური შედგენილობა %-ში							ჩაუტყო. ნაწილ.	ჩაქრობის სიჩქარე წთ	ჩაქრობის ტემპერ- ატ., °C	ზოგადი სიმძგრივე გვ/გვ³	სიმძვრივე გ/სგ³
SiO ₂	Al ₂ O ₃	Fe ₂ O ₃	CaO	MgO	SO ₃	სხვა დანარჩენი					
0,8 ... 1,2	0,08 ... 0,16	0,61 ... 0,89	80 ... 88	0,20 ... 0,60	0,3 ... 0,58	8,22 ... 9,7	0,16-0,2	4-6	60-80	900-940	3-3,1

თაბაშირკირიანი, თაბაშირპერლიტიანი, თაბაშირწიდა და
სხვა მჭიდა მასალები.

თაბაშირის ცომი თაბაშირისა და წყლის დენადი
ნარევია. მასში დამატებით შეჰყავთ ქვიშა და წვრილი
შემვსები (მინერალური და ორგანული). დიდი გამოყენება
აქვს შემვსებად პერლიტსაც. მათი გამყარებით მიიღება
თაბაშირიანი ბეტონები.

თაბაშიროვან შემკვრელებზე დამზადებული ნაკეთობები
ფართო გავრცელებას პოულობენ საშენ მასალათა მრეწვე-
ლობაში. ეს გამოწვეულია ნედლეულის, თაბაშირის ქვის
(ბუნებრივი თრწყლიანი თაბაშირი) დიდი მარაგით,
წარმოების ადვილი ტექნოლოგიით, ნაკეთობების მაღალ-
ესთეტიკური გამომსახველობით და შესანიშნავი საექსპ-
ლუატაციო თვისებებით.

თაბაშირის ნაკეთობების თვისებებია: ცეცხლმედეგობა,
კარგი თბოიზოლაცია, დაბალი სითბოგამტარობა, დაბალი
სიმკვრივე, დეფორმაციულობა, დაბალი თვითღირებულება;
მეორე მხრივ, თაბაშირის ნაერთებს ახასიათებთ დაბალი
წყალმედეგობა (მათი ექსპლოატაცია მიზანშეწონილია
შენობებში, სადაც ტენიანობა არ აღემატება 60%-ს),
დაბალი შეჭიდულობა არმატურასთან და შემვსებთან. ამ
შემთხვევაში უფრო რეგომენდებულია კომპოზიციური
თაბაშირიანი შემკვრელების გამოყენება.

თაბაშირი შეუცვლელია სილიკატური და ჩვეულებრივი
უჯრედოვანი ბეტონების დამზადების პროცესში. მისი

დამატებით იზრდება აირბეტონების და ქაფბეტონების ერთგვარობა, რაც ფრიად მნიშვნელოვანია ფორების წარმოქმნის პროცესში.

3.3. პერლიტბეტონის დასამზადებელი წყალი და ზედაპირულ-აქტიური დანამატები

ბეტონის ნარევის ადულაბებისათვის გამოყენებული წყალი არ უნდა შეიცავდეს მავნე მინარევებს (მუვებს, სულფატებს, ცხოველურ ცხიმებს, ზეთებს, შაქარს და სხვა), რომლებიც ხელს უშლიან ცემენტის შეკვრის და გამყარების პროცესს.

ბეტონის ნარევის ასადულაბებლად უპირატესად იყენებენ სასმელ წყალს. გარდა ამისა, გამოიყენება ბუნებრივი წყალი (მდინარეების, ბუნებრივი წყალსატევების), რომლის წყალბადური მაჩვენებელი $\text{pH} < 4$, ხოლო მინერალური მარილების შემცველობაა არაუმეტეს 5000 მგრ/ლ-ზე, მათ შორის სულფატური მარილებისა < 2700 მგრ/ლ-ზე SO_4^{2-} -ზე გადაანგარიშებით.

დასაშვებია ზღვის წყლის გამოყენება მარილების შემცველობით არაუმეტეს 3,4%-ისა, ვინაიდან მარილები გამოდიან ბეტონის ზედაპირზე და ამავე დროს შეიძლება გამოიწვიონ არმატურის კოროზია. არ შეიძლება ჭაობის, საყოფაცხოვრებო ჩამდინარე და სამრეწველო წყლის გამოყენება გაწმენდის გარეშე.


წყლის ხარჯის შერჩევას პერლიტბეტონებისათვის, მათი

მაღალი ჰიდროფობულობის გამო, დიდი მნიშვნელობა ენიჭება. წყლის წინასწარი, საორიენტაციო ხარჯი, ცემენტის დანიშნული ხარჯის მიხედვით, აიღება 250 ლ/მ^3 -ის ფარგლებში. ხოლო შემდგომ წყლის ოპტიმალურ ხარჯს საზღვრავენ ცდების საფუძველზე. ცემენტის ჟოველი ხარჯისათვის გამოითვლება სამი ანარევი და ჟოველი ანარევისათვის წყლის ხარჯებს შორის სხვაობა $10\%-ია.$ წყლის ოპტიმალური ხარჯი მერყეობს $260 - 320 \text{ ლ/მ}^3$ -ის ფარგლებში.

კარპატიის და ამიერკავკასიის აფუებულ პერლიტზე დამზადებული ბეტონები გამოირჩევიან გაზრდილი წყალმოთხოვნით. ოპტიმალურთან შედარებით $10\%-ით$ წყლის ხარჯის შემცირება იწვევს ბეტონის სიმტკიცის კლებას $20\%-ით.$ ნარევის წყალმოთხოვნა დამოკიდებულია შემვსების გრანულომეტრულ შედგენილობაზე: რაც უფრო წვრილია შემვსები, მით მეტია წყლის ხარჯი (ნახ. 3.5.).

ერთნაირი გრანულომეტრული შედგენილობის პერლიტბეტონების ასაღუდაბებლად საჭირო წყლის ოპტიმალური რაოდენობა, რომელიც უზრუნველყოფს მაღალ სიმტკიცეს, ცემენტის ხარჯის ზრდის დროს $150-დან 500 \text{ კგ/მ}^3$ -მდე, პრაქტიკულად არ იცვლება.

ბოლო ხანებში სხვადასხვა უცხოური კომპანიების მიერ ჩვენს ქვეყანაში შემოტანილია დიდი რაოდენობის სხვადსხვა სახის დანამატები. მათ შორის აღსანიშნავია სუპერ და ჰიპერ მაპლასტიფირებული დანამატები. ეს



ნახ. 3.5. ბეტონის სიმტკიცის და გამოსავლიანობის კოეფიციენტის დამოკიდებულება წყლის ხარჯზე და ბეტონის გრანულომეტრულ შედგენილობაზე

- 1 – ფრაქცია 10 – 20 მმ – 60%, ფრაქცია 5 – 10 მმ – 40%;
- 2 – ფრაქცია 10 – 20 მმ – 35%, ფრაქცია 5 – 10 მმ – 20%, ფრაქცია 1,2 – 5 მმ – 10%, ფრაქცია 0 – 1,2 მმ – 35%;
- 3 – ფრაქცია 1,2 – 5 მმ – 60%, ფრაქცია 0 – 1,2 მმ – 40%.

ნაერთები ზრდიან ბეტონის ნარევის ძვრადობას და აუმჯობესებენ მის სამშენებლო-ტექნიკურ თვისებებს. მაპლასტიფიცირებელი დანამატები ძირითადად წარმოად-

გენერ სინთეზურ პოლიმერულ ნაერთებს, რომლებიც შექმავთ ბეტონში 0,2-1,5%-ის ოდენობით ცემენტის მასიდან. მათი მოქმედება განისაზღვრება 1-2 საათით, რის შემდეგაც ისინი განიცდიან დესტრუქციას და გადადიან ცემენტისათვის უგნებელ ნაერთებში, რომლებიც ხელს არ უშლიან გამყარების პროცესს. მაპლასტიფიცირებელი დანამატების გამოყენებით მიიღება მაღალი სიმტკიცის ბეტონები (60 – 80 მპა), ადგილდება ნაკეთობის დაყალიბება და ცემენტის ხარჯი მცირდება 20%-მდე.

ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ მაპლასტიფიცირებელი დანამატების შეევანა ბეტონის ნარევში მნიშვნელოვნად ამცირებს ბეტონის კაპილარული შეკლების სიდიდეს, რაც მეტად მნიშვნელოვანია პერლიტბეტონებისათვის. ეს დანამატები საშუალებას იძლევა წყლის შემცირების ხარჯზე შემცირდეს ცემენტის ხარჯი ან ცემენტის იგივე რაოდენობის გამოყენებით შემცირდეს წ/ც-ის ფარდობა, შესაბამისად გაიზარდოს სიმტკიცე, შეუდწევადობა და ყინვამედებობა.

დასარისხებული აფუებული პერლიტის დოზირება უნდა მოხდეს ფრაქციების მიხდვით – 0-1,2 მმ (წვრილი ქვიშა), 1,2-5 მმ (მსხვილი ქვიშა), 5-10 მმ (წვრილი ღორდი) და 10-20 მმ (მსხვილი ღორდი) მასითი დოზატორებით. პერლიტბეტონის ნარევის მომზადებისას აფუებული პერლიტის ტენიანობა არ უნდა აღემატებოდეს 4%-ს მასის მიხედვით.

საწარმოო პირობებში ხშირად გამოიყენება დაუფრაქ-

ციებელი პერლიტის ქვიშა და დორდი, რომელთა ტენიანობა დადგენილი არ არის. რაც აუარესებს პერლიტბეტონის ერთგვარობას.

ზამთარში პერლიტის გათბობა, ბეტონში გამოყენების წინ აუცილებელი არ არის. იმისათვის, რომ ბეტონის ნარევის ტემპერატურა 10^0C -ის ფარგლებში შევინარჩუნოთ, საკმარისია გამოვიყენოთ 70^0C -მდე გაცხელებული წყალი.

პერლიტბეტონის ნარევს ამზადებენ იძულებითი მოქმედების ხსნარსარევებში. გრავიტაციული არევის ბეტონსარევებში პერლიტბეტონის ნარევის მომზადება არ არის მიზანშეწონილი ნარევის დაბალი ძვრადობის, შემვსებების ზედაპირების სიმქისისა და დიდი წყალშთანთქმის გამო.

პერლიტბეტონის ნარევის მომზადების ხანგრძლივობა შეადგენს 3–3,5 წთ-ს, მშრალი კომპონენტების არევა – 1,5 წუთი, არევა წყლის დამატების შემდეგ – 1,5–2 წთ.

3.4. პერლიტბეტონის ნაკეთობების დაყალიბება და გამყარება

პერლიტბეტონის ნაკეთობების დაყალიბების დროს იყენებენ ვიბროშემკვრივების და ვიბროდაჯორგვის მეთოდს, რაც უზრუნველყოფს ნარევის საუკეთესო შემპვრივებას, ხელს უშლის მის განშრევებას, ქმნის ერთგვაროვან სტრუქტურას სიმტკიცისა და ზოგადი სიმკვრივის თვალსაზრისით, მთელს ნაკეთობაში. გარდა ამისა, ვიბროდაჯორ-

გვის გამოყენება უზრუნველყოფს საპროექტო სიმტკიცეს, შემვსების გრანულების მაქსიმალური მიახლოების ხარჯზე ამცირებს ბეტონის საკუთარ მასას. პერლიტის შემვსები ნარევის ყველაზე უფრო მსუბუქი მდგრელია. მცირდება აგრეთვე ცემენტის ქვით შევსებული მარცვალთშორისი სიკრცე.

პერლიტბეტონის ნაკეთობების ხარისხის გასაუმჯობესებლად მიზანშეწონილია მოვახდინოთ ნარევის მოცულობითი დოზირება და მისი ჩაწყობა განვახორციელოთ ვიბროსაცმით.

თანამედროვე პირობებში პერლიტბეტონის და შერეული მსუბუქი ბეტონის (კერამზიტპერლიტბეტონი, აგლოპორტიპ-პერლიტბეტონი და სხვ) ნაკეთობებს ამზადებენ სტენდური ან ნაკადურ-კონვეიერული ტექნოლოგიით. ერლიტბეტონის პანელები მზადდება ზომებით $3,2 \times 2,7 \times 0,32$ მ; კერამზიტ-პერლიტბეტონისა – $6,4 \times 2,7 \times 0,32$ მ. პერლიტბეტონის პანელებისათვის გამოიყენება აფუებული პერლიტის დორდი ნაყარი სიმკვრივით 300 კგ/მ³, ქვიშა-250 კგ/მ³ და B30 კლასის პორტლანდცემენტი; ხოლო კერამზიტპერლიტბეტონისათვის – კერამზიტი ზოგადი სიმკვრივით 550-640 კგ/მ³, პერლიტის ქვიშა 170 კგ/მ³ და B40 კლასის პორტლანდცემენტი.

ფორიანი შემვსებების დოზირება მოცულობის მიხედვით მიმდინარეობს შემდეგნაირად: ჯერ ურევენ ნარევის კომპონენტებს მშრალად იძულებითი მოქმედების ბეტონსარევებში, შემდეგ უმატებენ წყალს და არევის დამთავ-

რებისთანავე ნარევი გადააქვთ ბეტონჩამწყობში; იქიდან კი საყალიბე ლენტური ტრანსპორტიორით, ლენტის მთელ სიგანეზე თანაბარი განაწილებით, ერთდროული ვიბრი-რებით და შემკვრივებით, მიეწოდება ყალიბებს (50 პერცი სიხშირე). ნაკეთობების თბოტენიანი დამუშავება მიმდინარეობს 100°C ტემპერატურაზე 4–5 საათის განმავლობაში.

ცხრილ 33-ში მოცემულია მასალების ფაქტიური ხარჯი 1 მ³ ბეტონზე. საწარმოო პირობებში პერლიტბეტონის და შერეულ შემცებებზე დამზადებული მსუბუქი ბეტონების ნაკეთობების გასამყარებლად იყენებენ გასაორთქლ კამერებს. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ აფუებული პერლიტის შემცებზე დამზადებული ბეტონები შეიცავენ დიდი რაოდენობით წყალს და ამიტომ, მიზანშეწონილია ჩატარდეს ჯერ ნაკეთობების შრობა ტენიანობის შესამცირებლად და შემდეგ თბური დამუშავება. აღსანიშნავია, რომ 80°C -ზე დაბალ ტემპერატურაზე ნაკეთობათა გაორთქვლისას ისინი გამოდიან მაღალი ტენიანობით, ხოლო 100°C -ზე მაღალი ტემპერატურა ნაკეთობის ზედაპირის რღვევას იწვევს, რადგან წყალი ზედა შრებებში იწყებს დუღილს. ამიტომ თბური დამუშავების წინ ნაკეთობა საჭიროა დავაყოვნოთ 1,5–2 საათით. ამ პერიოდში მიმდინარეობს ცემენტის მინერალების ჰიდროლიზი და ნაკეთობის ნაწილობრივი შრობა.

საშენი მასალების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ჩატარებულ იქნა გამოკვლევები პერლიტბეტონის გამყარების დაჩქარებისა, ელექტროგახურების მეთოდით.

ცხრილი 3.3
მასალების ფაქტიური ხარჯი 1 მ³ ბეტონზე

ნარევის შემადგენლები	პ ა ნ ე ლ ი	
	კერამზიტპერლიტ-ბეტონზე	პერლიტბეტონზე
კერამზიტი ლ-ში ფრაქცია 10-20 მმ	520	-
ფრაქცია 5-10 მმ	530	-
პერლიტი ლ-ში ფრაქცია 10-20 მმ	-	650
ფრაქცია 5-10 მმ	-	320
პერლიტის ქვიშა ფრაქცია 0-5 მმ	520	630
ცემენტი კგ-ში	262	280
წყალი ლ-ში	210	250

B3,5 კლასის პერლიტბეტონის ნიმუშები (პანელები ზომით 150X150X35 სმ) დამზადებულ იქნა ფარავნის ადგილ-მდებარეობის პერლიტზე და გამყარებულ იქნა ელექტრო-გახურების მეთოდით. თანაბარზომიერი ელექტროგახურების მიზნით, ნაკეთობის ზედაპირებზე ათავსებდნენ დამსხვრეულ ქვანახშირის კოქსს ($d = 2-3$ სმ), რომელიც დასველებული იყო კალციუმის ქლორიდით. ელექტროდებად გამოიყენებოდნენ ყალიბის ფსკერი და პანელში განთავსებული არმატურის ბადე. დაყალიბებიდან 2 საათის შემდეგ, პანელებს ახურებდნენ ცვლადი დენით 5-6 საათის განმავლობაში, 60-127 ვოლტი ძაბვის ქვეშ. ძაბვას თანდათანობით უმატებდნენ ბეტონის თანაბარზომიერი გახურების მიზნით.

228 კგ/მ³ ცემენტის ხარჯის დროს ელექტროგახურების მეთოდით მიღება B5 კლასის პერლიტბეტონი, რომლის

ზოგადი სიმკვრივეა 1110 კგ/მ³. პროცესის დამთავრების შემდეგ ბეტონის ტენიანობა მასის მიხედვით შეადგენს 11%-ს (ნიმუშების ორთქლით დამუშავებისას ტენიანობა არის 20-25%).

ვლადივისტოკში დამუშავებული ელექტროგასურების მეთოდის მიხედვით, პერლიტბეტონის გაცხელება ხდება 220 ვოლტი ძაბვის ქვეშ, 300 ამპერი დენის ძალის მქონე ელექტროდენიოთ. ბეტონის გახურების ტემპერატურა შეადგენს 90-100°C-ს, ხოლო გახურების დრო – 30-60 წთ-ს; ელექტროენერგიის ხარჯი შეადგენს 30-40 კვტ.სთ/მ³-ს. ელექტროდენბად გამოყენებულია ყალიბის ფსკერი და პანელის არმატურის ბადე. ამგვარი თერმოდამუშავებისას, ზემოთ მოყვანილ მეთოდთან შედარებით, მცირდება გახურების დრო და უკეთ გამოიყენება საამქროს საწარმოო ფართობი პანელების ელექტროგასურების პაპეტური მეთოდის გამო. თუმცა ვლადივოსტოკის მეთოდის გამოყენება, ადგილობრივად გაცხელების გამო, შეზღუდულია პანელების კარგასული არმირების დროს.

ჩრდილოეთის ქვეყნებში დამუშავებულია პერლიტბეტონის ნაკეთობების მიღება ცხელი დაყალიბებით. საცდელი ნიმუშები დამზადებულ იქნა ზომებით 10X10X10 სმ, სულ 145 კუბი. ნიმუშები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ შემვსების გრანულომეტრული შედგენილობით, ცემენტისა და წყლის ხარჯით. ცემენტის კლასია B40; პერლიტბეტონის სიმტკიცის და ზოგადი სიმკვრივის თბური დამუშავების მეთოდზე დამოკიდებულების შესწავლის მიზნით, ნიმუშების

ნაწილი დამზადებულ იქნა ცხელი დაყალიბებით 220 და 380 გოლტი ძაბვის ზემოქმედების ქვეშ, ხოლო საკონტროლო ნიმუშები კი – ორთქლდამუშავებით (1000 გრად/სო).

220 გოლტი ძაბვის და 10-12 ამპერი დენის ძალის დროს პერლიტბეტონის ნარევის გახურების დრო შეადგენდა 5-6 წთ-ს. 380 გოლტი ძაბვისას 90°C-მდე ტემპერატურის აწევის დრო შეადგენდა 1,5-2,5 წთ-ს. უმეტეს შემთხვევებში, ტემპერატურის აწევა მეორე წუთზე იწვევდა ბეტონის მასაში არსებული წყლის აღუდებას და ტენის ძალიან სწრაფ აორთქლებას.

250-300 კგ/მ³ ცემენტის ხარჯისას ცხელი დაყალიბების და გაორთქვლის მეთოდით დამზადებული ნიმუშების სიმტკიცეები თითქმის ერთნაირია. ცემენტის გაზრდილი ხარჯისას ცხელი დაყალიბებით გამყარებული ნიმუშების სიმტკიცეები რამდენადმე ნაკლები იყო, ვიდრე გაორთქლილი ნიმუშებისა; ზოგადი სიმკვრივეები კი თითქმის ერთნაირია.

მიუხედავად იმისა, რომ ცხელი დაყალიბების საცდელ ნიმუშებში ასადუდაბებელი წყლის ოდენობა 10–20%-ით მეტია, ვიდრე საკონტროლო ნიმუშებში, ერთი დღე-დამის ასაკში მათი ტენიანობები თითქმის ერთნაირია, რადგან ბეტონის გახურების და ჩაწყობის დროს ცხელი დაყალიბების მეთოდით ტენის ნაწილი ორთქლდება.

მოსკოვის ბეტონისა და რკინაბეტონის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში დამუშავებულია ელექტროგახურებით

პერლიტბეტონის გამყარების დაჩქარების ოპტიმალური რეჟიმები. პვლევები ტარდებოდა M50–100 მარკის ნიმუშებზე, რომელთა ზოგადი სიმკვრივე მერყეობდა 900–1100 კგ/მ³-ის ფარგლებში.

დადგენილია, რომ 95–98°C-ზე 2 საათის განმავლობაში ელექტროგახურების და 8-10 საათის გაცივების შემდეგ, გამოცდილი ნიმუშების სიმტკიცემ შეადგინა საპროექტო-სამარკო სიმტკიცის 70-80%. ნიმუშების ელექტროგახურებამ 6 საათის განმავლობაში შეამცირა პერლიტბეტონის სიმტკიცე მისი გამოშრობის გამო. პერლიტბეტონის ტენიანობა ელექტროგახურების შემდეგ 20–30%-ით ნაკლებია, ვიდრე გაორთქლილი ნიმუშებისა.

ელექტროგახურების დროს, ტემპერატურის ძალზე ნელი აწევისას, პერლიტბეტონის გაფართოება შეადგენს $6-12 \times 10^{-6}$; ამ დროს იქმნება ხელსაყრელი პირობები ბეტონის სტრუქტურის ჩამოყალიბებისათვის.

ამგვარად, პერლიტბეტონის სტრუქტურის რდგვევის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია ან ტემპერატურის მდორე, თანდათანობითი აწევა, ან ელექტროგახურების დაწყებამდე წინასწარი დაყოვნება. გამოკვლევებით დადგენილია, რომ პერლიტბეტონის ნარევის წინასწარი გახურებით მნიშვნელოვნად მცირდება დეფორმაციები, ასევე გამოირიცხება ადგილობრივი გადახურებებები და ტემპერატურული გადამეტაბებები ნაკეთობებში.

თავი IV

პერლიტების და პერლიტის შვილაზე დამზადებული შერეული გეტონების ფიზიკურ-ტექნიკური თვისებები

ევროპისა და ახლო საზღვარგარეთის რამოდენიმე წამყვანი ინსტიტუტი ჩატარებული სამეცნიერო კვლევების შემდეგ, აფუებული პერლიტის ბაზაზე, შექმნილია მსუბუქი ბეტონების (პერლიტბეტონი, კერამზიტპერლიტბეტონი, წილაპერლიტბეტონი, სეპარირებული პერლიტბეტონი და სხვ.) სახეობები, შესწავლილია მათი თვისებები და განსაზღვრულია საანგარიშო მახასიათებლები.

მსუბუქ ბეტონებს შორის მინიმალური ზოგადი სიმკვრივით გამოირჩევა აფუებული პერლიტის ქვიშაზე და ღორღძე დამზადებული პერლიტბეტონები (იხ. ცხრილი 4.1).

ცხრილი 4.1

პერლიტბეტონების და პერლიტის ქვიშაზე დამზადებული შერეული ბეტონების ზოგადი სიმკვრივეები

ბეტონის მარტა აუმჯობეს სიმტკიცის მიხევლვით, მკა	მსხვილი შემვსების ნაყარი სიმკვრივეები კგ/ტ ³						
	პერლიტის ღორღძი		კერამზიტის ხრეში		გულგანვერი ზიდის უსკეჭის ნორდი, გულგანვერი 600 კგ/ტ ³	ზიდის პეტის, აზლოპლანიტის და ტუფის ღორღძი, მეტი 600 კგ/ტ ³	
	400-ზე ნაკლები	400-ზე მეტი	500-ზე ნაკლები	500-ზე მეტი			
3,5	600	800	700	950	1000	1200	
5,0	700	900	800	1100	1100	1200	
7,5	800	1000	900	1150	1200	1400	
10,0	1000	1100	1100	1200	1400	1500	

მსუბუქ ბეტონებს უფრო ხშირად იყენებენ შემომზღვდავ კონსტრუქციებში, სადაც ზოგად სიმკგრივეს გადამწყვეტი როლი აკისრია. აფუებული პერლიტის ქვიშა კი ყველაზე მსუბუქია, ხელოვნურ და ბუნებრივ ფორიან ქვიშებს შორის და მისი გამოყენება სხვა სახის ფორიან ლორდთან ერთად მიზანშეწონილია ნაკეთობის მასის შესამცირებლად.

4.1. პერლიტბეტონის ფიზიკურ-ტექნიკური მახასიათებელები

წინა საუკუნის შეა წლებიდან საბჭოთა კავშირში პირველად, კავკასიის ადგილმდებარეობის პერლიტის აფუებულ ქვიშაზე და ლორდზე, მიღებულ იქნა პერლიტბეტონი. ამის შემდეგ ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ჩატარებულ იქნა მრავალრიცხვოვანი კვლევები და დამზადებულ იქნა სხვადასხვა შედგენილობის პერლიტბეტონები. მათ შორის თბილისის საშენი მასალების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, მბრუნავ ღუმელში აფუებულ ფარავნის პერლიტის ლორდსა და ქვიშაზე, მიღებული იქნა მაღალი ხარისხის პერლიტბეტონი.

პერლიტბეტონის საცდელ ანარევებს ამზადებდნენ ლაბორატორიულ დუღაბსარევებში. აყალიბებდნენ კუბის ფორმის ნიმუშებს ზომებით $10 \times 10 \times 10$, $15 \times 15 \times 15$ და $20 \times 20 \times 20$ სმ და პრიზმებს ზომებით $10 \times 10 \times 40$, $15 \times 15 \times 60$ და $20 \times 20 \times 80$ სმ.

გამყარების დასაჩქარებლად ნიმუშებს თრთქლავდნენ შემდეგი რეჟიმით: წინასწარი დაყოვნება – 2-3სთ, ტემპერატურის აწევა $80-95^{\circ}\text{C}$ -ზე – 2-3სთ, იზოთერმული დამუშავება – 8-10სთ, ტემპერატურის დაწევა – 2-3სთ. გაორთქვლის შემდეგ ნიმუშების სიმტკიცე შეადგენდა საბოლოო სიმტკიცის 80-90%-ს.

გამოკვლეულ იქნა პერლიტბეტონის ძირითადი ფიზიკურ-ტექნიკური თვისებები ხანმოკლე სტატიკური და დინამიკური, ასევე ხანგრძლივი სტატიკური დატვირთვების დროს.

პუბური სიმტკიცე. პერლიტბეტონის საკვლევი ნიმუშები გამოცდილ იქნა 28 დღის და უფრო მეტი ხნის ასაკში, გაორთქვლის შემდეგ, მოქმედი სტანდარტის შესაბამისად.

პუბების გამოცდის შემდეგ მიღებულ იქნა სიმტკიცის გადამყვანი კოეფიციენტების სხვადასხვა მნიშვნელობები; კერძოდ: $10\times 10\times 10$ სმ ზომის კუბების სიმტკიცის გადამყვანი კოეფიციენტები $20\times 20\times 20$ სმ ზომის კუბების სიმტკიცის მიმართ, შეადგენდა 0,87-ს; $15\times 15\times 15$ სმ-დან $20\times 20\times 20$ სმ-ზე შეადგენდა 0,94-ს, ხოლო $10\times 10\times 10$ სმ-დან $15\times 15\times 15$ სმ-ზე კი 0,91-ს.

პუბური სიმტკიცე დროთა განმავლობაში იზრდება. მაგალითად, ორი წლის შემდეგ სიმტკიცის ზრდა მერყეობდა 9–27%-ის ფარგლებში. ხოლო ცემენტის მომეტებული ხარჯით გამორჩეული ნიმუშები სიმტკიცის უფრო ინტენსიური ზრდით ხასიათდებიან.

3,5–7,5 მპა სიმტკიცის, ცემენტის უმცირესი ხარჯით დამ-

ზადებული ნიმუშების მაქსიმალური ზოგადი სიმკვრივე შეადგენდა 600–800 კგ/მ²-ს.

პრიზმული სიმტკიცე. გამოკვლევებით დაგენილია, რომ პერლიტებეტონის პრიზმული სიმტკიცე სამშენებლო ნორმებში მოყვანილზე მეტია. მაგალითად, თბილისის ექსპერიმენტული დაპროექტების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მონაცემების მიხედვით, 5–20 მკა კუბური სიმტკიცის დროს $R_j/R_{პ}$ შეადგენს 0,68–0,97-ს, ხოლო საშენი მასალების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ჩატარებული კვლევებით – $R_j=3\text{--}11$ მკა კუბური სიმტკიცის დროს $R_j/R_{პ}=0,72\text{--}1,06$ (საშუალოდ 0,89), მაშინ როცა სამშენებლო ნორმებში მოყვანილია $R_j/R_{პ}=0,8$.

პრიზმებში პირველი ბზარები წარმოიქმნებიან მრდვევი დატვირთვიდან დაახლოებით 0,9R_{პრ}. მნიშვნელობების დროს. ბზარებს უმეტესად ვერტიკალური მიმართულება გააჩნიათ. მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში არიან ისინი დახრილნი ვერტიკალური დერძის მიმართ. პერლიტებეტონის პრიზმების რღვევის ხასიათი მეტყველებს იმაზე, რომ განივი მიმართულებით ბეტონის წინაფობის უნარი ამოწურეულია.

შემვსების გრანულომეტრული შედგენილობა, ცემენტისა და წყლის ხარჯი მნიშვნელოვან გავლენას ვერ ახდენენ $R_{პრ}/R_j$ -ს. ვარდობაზე.

სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში სიმტკიცეები გაჭიმვისას განსაზღვრულია რვიანის ტიპის ნიმუ-

შებზე (სიმაღლე 76 სმ, კვეთი 10X10სმ), ცენტრალურად მოდებული დატვირთვით და დუნგაზე ძელაკებზე ზომებით 15X15X55 და 15X15X120მმ.

მოსკოვის რკინაბეტონის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში გამოსცადეს რვიანის ტიპის ნიმუშები ცენტრალურ გაჭიმვაზე და სტანდარტული, 10X10X40 სმ ზომის ძელაკები დუნგაზე. რვიანების და ძელაკების ცენტრირება ხდებოდა დატვირთვაზე, რომელიც შეადგენდა მრღვევი ძალის 20%-ს. ნიმუშებს ტვირთავდნენ საფეხურებრიგად, 0,1Pმრღ დატვირთვით და აჩერებდნენ თითოეულ საფეხურზე 5-6 წუთის განმავლობაში.


50-100 მარკის პერლიტბეტონებისათვის სიმტკიცეები გაჭიმვაზე დუნგაზე მერყეობდა 0,62-1,07 მპა-ის ფარგლებში. მაქსიმალური სიმტკიცე მიღებულ იქნა 15X15X55 სმ ზომის ძელაკების გამოცდისას.

50-150 მარკის პერლიტბეტონების დერმული გაჭიმვის დროს სიმტკიცემ შეადგინა 0,32–0,64 მპა.

ნახ. 4.1-ზე მოცემულია კუმშვისა და გაჭიმვის დეფორმაციების ძაბვებზე დამოკიდებულების გრაფიკები, პერლიტბეტონის დუნგისას.

რკინაბეტონის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ჩატარებული კვლევების მონაცემებით, პერლიტბეტონის სიმტკიცე გაჭიმვაზე მკვეთრად განსხვავდება ნორმატულისაგან და შეადგენს საშუალოდ მის 50%-ს. სხვა ინსტიტუტებში ჩატარებული ექსპერიმენტების მიხედვით 10 მპა და უფრო

ნაკლები მარჯის პერლიტბეტონის სიმტკიცე გაჭიმვაზე ნორმატიულის 65%-ია, ხოლო 15 მპა და უფრო მეტი მარჯის პერლიტბეტონებისა კი თითქმის ნორმირებულის ტოლია.



ნახ. 4.1. კუმშვისა და გაჭიმვის დეფორმაციები პერლიტბეტონის
დუნებისას
1 – 14 ტენზოგადამწოდების ნომრები

სანმოკლე დატვირთვების დროს განვითარებული დეფორმაციები. გრძივი დეფორმაციები კუმშვისას განისაზღვრა პრიზმულ ნიმუშებზე, საფეხურებრივი დატვირთვებისას (0,1 მრავევი დატვირთვიდან), ხუთ-ხუთი (ექსპრიმენტული დაპროექტების ზონალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მონაცემები) და 6-6 (რკინაბეტონის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიხედვით) წუთი დაყოვნებით თითოეულ საფეხურზე. პერლიტბეტონის დრეკადი და პლასტიკური დეფორმაციები ექსპერიმენტული დაპროექ-

ტების ზონალურ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში გაზომილია ელექტროტენზოგადამწოდებით, ხოლო რკინაბეტონის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ინდიკატორებით.

ექსპერიმენტული დაპროექტების ზონალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კვლევებით, დრეკადი და მთლიანი დეფორმაციების ფარდობა შეადგენს $0,82-0,9$, ხოლო რკინაბეტონის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მონაცემებით – $0,86$ -ს. ზღვრული ჭიმვადობა ცენტრალური კუმშვისას – შესაბამისად $2,3 \times 10^{-3}$ და $1,8 \times 10^{-3}$. გარდა ამისა, ელექტროტენზოგადამწოდებმა საშუალება მოგვცა დაგვეფიქსირებინა, დატვირთვასთან ძალზე ახლოს მდგომი ძაბვები და დეფორმაციები. მიღებული მონაცემები წარმოადგენენ უტყუარ მტკიცებულებას იმისას, რომ პერლიტბეტონი, ისევე როგორც სხვა მსუბუქი ბეტონები, წარმოადგენენ დრეკადალასტიკურ ტანებს.

კუმშვისას დრეკადობის საწყისი მოდული განისაზღვრება დატვირთვის დრეკად სტადიაში, 20%-ზე მრღვევი დატვირთვიდან.


ნახ. 4.2-ზე წარმოდგენილია დრეკადობის მოდულისა და დეფორმაციების ურთიერთდამოკიდებულების გრაფიკები 5, 7,5 და 10 მპა სიმტკიცის პერლიტბეტონებისათვის.

ნახაზებიდან ნათლად ჩანს, რომ დატვირთვის გაზრდით მცირდება დრეკადობის მოდული, რადგან იზრდება ბეტონის ფარდობითი დეფორმაცია. 5–10 მპა სიმტკიცის პერლიტ-

ბეტონების საწყისი დრეკადობის მოდული შეიძლება განისაზღვროს შემდეგი ფორმულით:

$$E_d = 500(R_{d,0} + 50) \text{ მპა;}$$

დრეკადობის მოდულის ამ ფორმულით განსაზღვრული მნიშვნელობა ემთხვევა ექსპერიმენტულად მიღებულს; საშუალო კვადრატული გადახრა შეადგენს 14%-ს. სამშენებლო ნორმებში მოყვანილი საშუალო კვადრატული გადახრა შეადგენს 3,7–8,6%-ს.



ნახ. 4.2. კუმულის დეფორმაციისა და დრეკადობის მოდულის დაზოგიდებულების გრაფიკები
1 – მარგა 5 მპა; 2 – მარგა 7,5 მპა; 3 – 10 მპა

10 მპა-ზე ნაკლები სიმტკიცის პერლიტბეტონებისათვის, მოსკოვის რკინაბეტონის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ჩატარებული კვლევების მიხედვით, დაფქული ქვიშების შემთხვევაში დრეკადობის საწყისი მოდული შეადგენს ნორმატულის $0,9\text{--}0,85$ -ს, ხოლო $180 \text{ } \text{კგ}/\text{მ}^3$ ზოგადი სიმკვრივის, ზახტურ დუმელში გამომწვარ მსუბუქ ქვიშაზე დამზადებული პერლიტბეტონებისათვის – $0,65$ -ს.

სამშენებლო კონსტრუქციების ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მონაცემებით, ცემენტ-პერლიტის და კირ-პერლიტის შემკვრელზე დამზადებული, 10 მპა-ზე ნაკლები სიმტკიცის პერლიტბეტონებისათვის, საწყისი დრეკა-დობის მოდული ნორმატულს უტოლდება, ხოლო 10 მპა-ზე მეტი სიმტკიცის ბეტონებისათვის 25–30%-ით მეტია ნორმატულზე.

თბილისის საშენი მასალების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მონაცემებით, 5–15 მპა სიმტკიცის ფარავნის აფუქტულ პერლიტზე დამზადებული ბეტონებისათვის დრეკადობის საწყისი მოდული შეადგენს ნორმატული მაჩვენებლის 80%-ს.

ამგარად, ერთი და იგივე სიმტკიცის პერლიტბეტონების საწყისი დრეკადობის მოდულის გადახრა ნორმატული მაჩვენებლისაგან 10–30%-ს არ აღემატება და მისი სიდიდე დამოკიდებულია პერლიტის ქვიშისა და დორდის სისხოზე, ფორმიანობაზე და სიმტკიცეზე.

პერლიტის კოეფიციენტი განსაზღვრულ იქნა პრიზმული ნიმუშების კუმშვისას მრავევე დატვირთვის 20% მნიშვნელობების დროს (პრიზმული სიმტკიცე <10 მპა):

- სამშენებლო კონსტრუქციების ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მონაცემებით - 0,16–0,26;
- თბილისის საშენი მასალების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მონაცემებით - 0,21–0,26;

- მოსკოვის რკინაბეტონის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტის მონაცემებით – 0,17–0,36.

დრეკადობის მოდული და გრძივი დეფორმაციები განსაზღვრულ იქნა დერმულ გაჭიმვაზე წინასაწარ ცენტრი-რებულ ნიმუშებზე მრდვევი დატვირთვის 20%-იანი მნიშვნელობების დროს.

მრდვევთან ახლომდებარე დატვირთვებზე დრეკადი და პლასტიკური დეფორმაციების ფარდობა სამშენებლო კონსტრუქციების ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის და თბილისის საშენი მასალების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მონაცემებით შეადგენს 0,85 და 0,81, ხოლო ზღვრული ჭიმვადობა $8,4\text{--}11,2 \times 10^{-5}$ და 12×10^{-5} შესაბამისად.

5-7,5 მარკის პერლიტბეტონების დრეკადობის მოდული გაჭიმვისას მერყეობს 4000 – 5000 მპა-ს ფარგლებში.

5-20 მარკის პერლიტბეტონების ზღვრული კუმშვადობა საშენი მასალების ინსტიტუტის მონაცემებით არის $2,5 \times 10^{-3}$, ხოლო ზღვრული ჭიმვადობა $2,6 \times 10^{-4}$. ეს მონაცემები სხვა მსუბუქი ბეტონების (კერამზიტბეტონი, თერმოლიტბეტონი და სხვ.) ანალოგიურ მონაცემებთან შედარებით გაცილებით უპევესია.

კურამზიტპერლიტბეტონი. პირველად კერამზიტპერლიტბეტონი დამუშავდა და მისი თვისებები შესწავლილ იქნა 20 საუკუნის მეორე ნახევარში კიევის საშენი მასალების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. შემდგომ უკვე პერლიტ-

ბეტონის თვისებები გამოიკვლიერ აგრეთვე მოსკოვის რკინაბეტონის ცენტრალურ სამეცნიერო-კვლევით და ექსპერიმენტული დაპროექტების ცენტრალურ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში.

ექსპერიმენტებში გამოიყენებოდა შემდეგი მასალები:

კიევის საშენი მასალების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში – ქერჩის კერამზიტის ღორღი ფრაქციით 5-10 მმ, ზოგადი სიმკვრივით – 706 კგ/მ³; ღორღი ფრაქციით 10-20 მმ, ზოგადი სიმკვრივით 569 კგ/მ³; ღორღი ფრაქციით 20-40 მმ, ზოგადი სიმკვრივით 464 კგ/მ³ (ცხრილი №4.1., №1–10); მბრუნავ ღუმელში აფუებული იმიერკარპატიის პერლიტის ქვიშა ფრაქციით 0–5მმ, ზოგადი სიმკვრივით 200 კგ/მ³ და შახტურ ღუმელში აფუებული იგივე პერლიტის ქვიშა 170 კგ/მ³ ზოგადი სიმკვრივით (№4–9, ცხრილი 4.2.)

მოსკოვის რკინაბეტონის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში – ლიანოზოვის კერამზიტი 415, 530, 570 კგ/მ³ ზოგადი სიმკვრივით (№11–15, №16 და №17,18 შესაბამისად); ასევე შახტურ ღუმლებში აფუებული მსხვრეული პერლიტის ქვიშა, სიმკვრივით 540 კგ/მ³ (№115,16, 19 და 20).

ექსპერიმენტული დაპროექტების ცენტრალურ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში - ლიანოზოვის კერამზიტი ფრაქციით 10–20 მმ, 330-390 კგ/მ³, 5-10 მმ, 270-320 კგ/მ³ (№ 21-23); მბრუნავ ღუმელში აფუებული პერლიტის ქვიშა, ზოგადი სიმკვრივით 280-300 კგ/მ³.

შემკვრელად გამოყენებულ იქნა 500 და 600 მარკის პორტლანდცემენტები.

შესწავლილი იქნა 3,5-20 მპა სიმტკიცისა და 650-1300 კგ/მ³ სიმკვრივის კერამზიტპერლიტბეტონების ძირითადი ფიზიკურ-მექანიკური მაჩვენებლები ხანმოკლე სტატიკური დატვირთვების დროს, კერძოდ, დრეკადობის მოდული კუმულაზე და გაჭიმვაზე, პუასონის კოეფიციენტი, კუმულადობა და ჭიმვადობა, ბზარმედეგობა, ცოცვისა და შეკლების დეფორმაციები და ა.შ. ცემენტის ხარჯი ამ ბეტონებისათვის იცვლებოდა 160-500 კგ/მ³-ის ფარგლებში.

კერამზიტპერლიტობეტონის საწყისი დრეკადობის მოდული ელექტროტენზოგადამწოდებით დეფორმაციების გაზომვისას, 20%-იანი დატვირთვის დროს პრიზმული სიმტკიციდან, იცვლებოდა 2,3-დან $12,2 \times 10^3$ მპა-ის ფარგლებში (იხ. ცხრ. 4.1.). ზღვრული კუმულადობა კიევის საშენი მასალების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ჩატარებული კვლევების მიხედვით არის 1,85–2,2 მმ/მ, მოსკოვის რკინაბეტონის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში – 1,8–2,3 მმ/მ და ექსპერიმენტული დაპროექტების ცენტრალურ სამეცნიერო-კვლეული კვლევით ინსტიტუტში – 1,4 მმ/მ. კუმულაციას განივი გაფართოების ზღვრული დეფორმაცია ტოლია საშუალოდ 0,4–0,6 მმ/მ.

პუასონის კოეფიციენტის მნიშვნელობები სამივე ინსტიტუტი წარმოებული ექსპერიმენტების მიხედვით იცვლება 0,196-0,235 ფარგლებში.

ცხრილი 4.1

კერამზიტპერლიტბეტონის ძირითადი მაჩვენებლები

№	მასალების სარჯი 1მ³ ბეტონში				ზოგადი სიმძლეები გვ/ტ	ბეტონის სიმძლეები გვა	დრენაჟული მოწყველი გვ
	კერამზიტი ლ-ტი	კერლიტი ლ-ტი	ცემნტი ტ-ტი	ტფასი ლ-ტი			
1	1002	800	252	235	1030	14,2	9100
2	970	750	345	224	1175	16,5	8850
3	1064	700	266	211	1090	12,4	10340
4	830	760	233	268	985	11,3	5400
5	790	690	344	288	1035	12,2	5400
6	860	760	250	302	955	10,1	5290
7	869	660	360	330	955	11,3	4840
8	603	1000	310	280	860	6,8	3250
9	837	750	156	248	935	8,7	4590
10	1200	800	178	287	1060	7,8	4390
11	930	600	155	155	640	3,5	—
12	930	620	200	170	700	5,0	3900
13	920	620	250	245	760	7,5	—
14	900	400	325	300	850	10,0	—
15	895	395	460	300	975	15,0	—
16	900	400	480	280	1280	20,0	12200
17	1000	630	140	220	945	6,1	5450
18	1000	630	220	230	1070	9,2	5530
19	770	525	180	137	800	2,7	2030
20	980	384	440	308	1200	17,0	9830
21	1083	274	292	212	751	7,5	—
22	1035	258	360	206	1145	7,5	6070
23	858	455	390	210	1149	10,0	6930
24	580	868	290	232	1012	7,5	5070
25	600	895	415	240	1122	10,0	6520
26	740	578	214	214	878	5,0	4500
27	725	552	310	228	969	7,5	5550

კერამზიტპერლიტბეტონის სიმტკიცე გაჭიმვაზე კიგვის
საშენი მასალების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტის
დადგენილია $10X10\text{სმ}$ კვეთის და 43 სმ სიგრძის მქონე

რვიანების გამოცდით. 5-12,5 კლასის ბეტონის სიმტკიცეზე გაჭიმვაზე შეადგინა 0,36-0,76 მპა. დრეკადობის მოდული გაჭიმვაზე იცვლებოდა 3740-დან 10000 მპა-ის ფარგლებში. ზღვრული ჭიმვადობაა 0,1-0,15 მმ/მ.

ინტერესს იწვევს კერამზიტპერლიტბეტონის ბზარმედუ-გობის გამოკვლევის მეთოდიკა, რომელიც შემუშავებულია ი. ნაცივსკის მიერ (დაფუძნებული რგოლის პრინციპზე). რგოლები მზადდება ფოლადის ასაწყობ ყალიბებში (რგოლის გარე დიამეტრია 19 სმ, შიგა 9 სმ, ხოლო სიმაღლე 10 სმ-ია). დაყალიბების, გაორთქვლისა და შენახვის ხერხი სტანდარტულია (ტემპერატურა 20°C , ფარდობითი ტენიანობა 65-80%). აღმოჩნდა, რომ ყველაზე მცირე ბზარმედეგობით გამოირჩეოდნენ შახტურ ღუმელში აფუქბულ ქვიშაზე (ზოგადი სიმკვრივე 200 კგ/მ²) დამზადებული ნიმუშები (მათში ბზარებზე დაკვირვება წარმოებდა გამყარების მე-18 დღეზე); შემდეგ მოდის ქვიშის, ცემენტის და წყლის მომე-ტებული ხარჯით გამორჩეული კერამზიტპერლიტბეტონის ნიმუშები (პირველი ბზარები აღმოჩნილ იქნა შენახვის 58-ე დღეს).

მბრუნავ ღუმელში აფუქბულ პერლიტის ქვიშაზე დამზადებული ყველა ნიმუში ბზარმედეგი გამოდგა. 8 თვის განმავლობაში დაკვირვებისას მათზე ბზარები არ აღმოჩენილა.

კიევის საშენი მასალების სამეცნიერო-კვლევით ინსტი-ტუტში წარმოებული კვლევების მიხედვით კერამზიტპერ-

ლიტბეტონის შეკლებამ 220 დღე-დამის გამყარების შემდეგ შეადგინა 0,25-0,63 მმ/მ. მაქსიმალური შეკლებით ხასიათდებოდნენ შახტურ დუმელში აფუებული პერლიტის ქვიშაზე დამზადებული და გაზრდილი დუდაბური ნაწილის მქონე ნიმუშები.

მოსკოვის რკინაბეტონის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ჩატარებული კვლევების მიხედვით 480 დღე-დამის შემდეგ კერამზიტპერლიტბეტონის შეკლებამ მიაღწია 0,57 მმ/მ. ხოლო შეკლების პროცესის სტაბილიზაცია აღინიშნებოდა 250 დღე-დამის ასაკში.

მოსკოვის რკინაბეტონის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში შესწავლილ იქნა აგრეთვე კერამზიტპერლიტბეტონის ცოცვადობა 0,3 და **0,5R_პ** დატვირთვების დროს, 1 და 6 თვის პრიზმულ ნიმუშებზე. 3,5 მკა სიმტკიცის კერამზიტპერლიტბეტონის ცოცვადობის ფარდობითმა დეფორმაციამ 28 დღე-დამის შემდეგ, **0,3R_პ** დატვირთვის დროს შეადგინა 0,53 მმ/მ, ხოლო **0,5R_პ** დროს 0,91 მმ/მ. 15 მკა სიმტკიცის კერამზიტპერლიტბეტონისათვის შესაბამისად – **0,3R_პ** – 0,85 მმ/მ და **0,5R_პ** – 1,01 მმ/მ. 6 თვის შემდეგ ეს მაჩვენებლები დაახლოებით 1,5-ჯერ შემცირდა.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით კერამზიტპერლიტბეტონში ბზარები წარმოიქმნება არათანაბარზომიერი შრობის, წყლის სწრაფი აორთქლებისას გარე შრეების შეკლების და კუმშვისას განივი გამჭიმავი ძალვების წარმოქმნის გამო. მ.

ხუტორიანსკიმ დაადგინა, რომ ბეტონის ცოცვადობა იზრდება პერლიტის ქვიშის მტვრისებრი ფრაქციის ზრდით. ასე მაგალითად, B3,5 კლასის კერამზიტპერლიტბეტონის ცოცვადობა **0,3R₂₄** დროს არის:

- პერლიტის ქვიშაში მტვრისებრი ნაწილაკების 15%-მდე შემცველობისას – 0,65 მმ/გ;
- პერლიტის ქვიშაში მტვრისებრი ნაწილაკების 40%-მდე შემცველობისას – 1,4 მმ/გ.

იმავე მ. ხუტორიანსკის მონაცემებით 10 და 15 მპა სიმტკიცის პერლიტბეტონების წყალშთანთქმის დინამიკა სტაბილიზირდება 5 თვის შემდეგ და შეადგენს შესაბამისად 15,6 და 16,5%-ს, ხოლო 5 მპა სიმტკიცის ნიმუშებისათვის 23,6%-ს. კაპილარულმა შეწოვამ 100 დღე-დამის შემდეგ, 5, 10 და 15 მპა სიმტკიცის ნიმუშებისათვის შეადგინა შესაბამისად 7,6, 6,87 და 4,85%; დარბილების კოეფიციენტი იყო 0,82-0,89. წილაპორტლანდცემენტზე დამზადებული კერამზიტპერლიტბეტონის სორბციულმა ტენიანობამ 75%-იან ტენიან გარემოში შეადგინა 7,5%, ხოლო ჩვეულებრივ პორტლანდცემენტზე კი 2,5%.

5 და 7,5 მპა სიმტკიცის და 1060-1140 კგ/მ³ ზოგადი სიმკვრივის კერამზიტპერლიტბეტონის თბოგამტარობის კოეფიციენტი მშრალ მდგომარეობაში არის 0,35-0,46 ვტ/მ⁰C., სორბციული ტენიანობისას – 0,46-0,57, ხოლო გაორთქვლის შემდეგ – 0,52-0,67 ვტ/მ⁰C.


გარკვეულ ინტერესს იწვევს აგრეთვე ერთი და იგივე მსხვილ (კერამზიტი) და სხვადასხვა წვრილ (აფუებული პერლიტის ქვიშა და დამსხვრეული კერამზიტის ქვიშა) შემცვებებზე დამზადებული, 3,5-15 მკა მარკის კერამზიტპერლიტბეტონისა კერამზიტბეტონის ძირითადი თვისებების შედარება: კერამზიტპერლიტბეტონის ზოგადი სიმკვრივე 20–25%-ით ნაკლებია კერამზიტბეტონის იგივე მაჩვენებელზე (ერთნაირი სიმტკიცეებისა და ცემენტის ერთი და იგივე სარჯის დროს). კერამზიტპერლიტბეტონის საწყისი დრეკა-დობის მოდული, შახტურ ღუმელში აფუებული პერლიტის გამოყენების შემთხვევაში, 20-25%-ით ნაკლებია კერამზიტბეტონის იგივე მახასიათებელზე, ხოლო პორიზონტალურ მბრუნავ ღუმელში აფუებისას 5–10%-ით. კერამზიტპერლიტბეტონის ცოცვადობა $0,5R_{\text{კ}} \text{ მომკუმშავი ძალვის ზემოქმედებისას } \text{ შეადგენს } 0,4-1 \text{ მმ/მ, კერამზიტბეტონისა - } 0,35\text{-დან } 0,75 \text{ მმ/მ-მდე; კერამზიტპერლიტბეტონის პუასონის კოეფიციენტი ტოლია } 0,22\text{-ის, კერამზიტბეტონის - } 0,18\text{-ის. 5-10 მკა სიმტკიცის კერამზიტპერლიტბეტონის ზღვრული კუმშვადობა შეადგენს } 1,8 \text{ მმ/მ-ს, 10-15 მკა სიმტკიცისა - } 2,3 \text{ მმ/მ; 10 მკა და უფრო დაბალი სიმტკიცის კერამზიტბეტონის ზღვრული კუმშვადობაა } 1,35 \text{ მმ/მ; კერამზიტპერლიტბეტონის შეკლების ფარდობითი დეფორმაცია იცვლება } 48 \times 10^{-5} \text{-დან } 57 \times 10^{-5} \text{-მდე, კერამზიტბეტონის კი } 22 \times 10^{-5} \text{-დან } 68 \times 10^{-5} \text{-მდე.}$

წილაპერლიტბეტონი. სომხეთის საშენი მასალების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ დამუშავებული და

შესწავლით წიდაპერლიტბეტონი. მსხვილ შემცხებად გამოყენებულია კარმრაშენის ბუნებრივი წიდა ნაყარი ზოგადი სიმკვრივით 318-480 კგ/მ³, რომლის სიმტკიცის ზღვარია კუმშვაზე 0,43-0,75 კგ/მ³. წვრილ შემცხებად გამოყენებულია შახტურ ღუმელში აფუებული არაგაცის პერლიტის ქვიშა, ნაყარი სიმკვრივით 65-90 კგ/მ³ (ძალიან მსუბუქი) და მბრუნავ ღუმელში აფუებული ქვიშით (ნაყარი სიმკვრივე 364-398 კგ/მ³). მიღებული წიდა პერლიტბეტონის სიმტკიცეა 3,5-10 მპა, ზოგადი სიმკვრივე კი 820-970 კგ/მ³. 500 მარკის პორტლანდცემენტის ხარჯია 210-დან 410 კგ/მ³-მდე. პრიზმული და კუბური სიმტკიცეების თანაფარდობაა 0,94. დრეკადობის საწყისი მოდულია 4000-დან 8000 მპა-მდე.

პერლიტის ქვიშის გავლენა წიდაპერლიტბეტონის სიმტკიცეზე და ზოგად სიმკვრივეზე, ასევე ცემენტის ხარჯზე ნაჩვენებია ნახ. 4.3-ზე. ნახაზიდან ჩანს, რომ წიდაპერლიტბეტონის სიმტკიცე კუმშვაზე, პერლიტის ძალზე მსუბუქი ქვიშის გამოყენებისას, დაახლოებით 30%-ით ნაკლებია, მძიმე ქვიშის გამოყენებით მიღებული ბეტონის სიმტკიცეზე. ზოგად სიმკვრივეებს შორის განსხვავება მხოლოდ 3-5 %-ია. იმისათვის, რომ გავზარდოთ ძალზე მსუბუქ პერლიტის ქვიშაზე დამზადებული წიდაპერლიტბეტონის სიმტკიცე დაგვჭირდება ცემენტის ხარჯის გაზრდა 80-100 კგ/მ³-ით. წიდაპერლიტბეტონის სიმტკიცის ზღვარი გაჭიმვისას 15%-ით ნაკლებია ჩვეულებრივი მძიმე ბეტონის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. წიდაპერლიტბეტონის შეკლე-

ბისა და ცოცვადობის მახასიათებლები მოცემულია ცხრილ 4.2-ში.



ნახ. 4.3. წილაპერლიტბეტონის სიმტკიცის, და ზოგადი სიმკვრივის დამოკიდებულება ცემენტის ხარჯზე

1 – მბრუნავ ღუმელში აფუებული არაგაცის პერლიტის ქვიშა;
2 – იგივე, აფუებული შასტურ ღუმელში

ცხრილი 4.2

წილაპერლიტბეტონის შეკლება და ცოცვადობა

ქვიშა	ცემენტის ხარჯი კგ/მ³	ბეტონის კლასი, მპა	შეკლება 360 დღე-დამის განმავლობაში, მმ/მ	ცოცვადობა 200 დღე-დამის განმავლობაში მმ/მ
მძიმე	311	5	0,61	0,59
მსუბუქი	369	3,5	0,89	0,66
წილა	336	7,5	0,61	0,64

4.2-დან ჩანს, რომ შეკლებისა და ცოცვის მაქსიმალური დეფორმაციებით ხასიათდებიან მსუბუქი პერლიტის ქვიშაზე დამზადებული წილაპერლიტბეტონები.

ექსპერიმენტული მონაცემებით დასტურდება წილაპერლიტბეტონის სორბციული და ნარჩენი ტენიანობების

დამოკიდებულება ქვიშის სახეობაზე. მაგ. მძიმე ქვიშაზე დამზადებული წილაპერლიტბეტონის ტენიანობამ შეადგინა 1,3-2,8% და 5,9-9,2%, ხოლო მსუბუქ ქვიშაზე დამზადებულმა კი – 1,2-4,1 და 6,3-13,6%; თბოგამტარობის კოეფიციენტი შესაბამისად იქნება: 0,24-0,32 და 0,22-0,31 გტ/მ⁰C.

წილაპერლიტბეტზაბეტონი შესწავლილ იქნა წილაპერზაპერლიტბეტონი შემდეგ შემვსებებზე: წილის პერზა (ზოგადი სიმკვრივე 825 კგ/მ³, სიმტკიცის ზღვარი კუმშვაზე 1,4 მპა); პერლიტის ქვიშა: ზოგადი სიმკვრივე – 300 კგ/მ³, და აფუებული ღორლის მსხვრეული ქვიშა (ზოგადი სიმკვრივე 500 კგ/მ³).

აფუებული ქვიშიდან მიღებულ იქნა 3,5-5 მპა სიმტკიცის წილაპერზაპერლიტბეტონი, რომლის ზოგადი სიმკვრივე მშრალ მდგომარეობაში ტოლია 1100-1200 კგ/მ³, აფუებული ღორლის მსხვრეული ქვიშისგან კი 12,5 კლასის კონსტრუქციული ბეტონი; ამ ბეტონის ზოგადი სიმკვრივე მერყეობს 1400-დან 1550 კგ/მ³-ის ფარგლებში; 50 მპა აქტივობის ცემენტის ხარჯი კი 200-400 კგ/მ³-ია.

7,5-20 მპა სიმტკიცის წილაპერზაბეტონის საწყისმა ღრეკადობის მოდულმა შეადგინა 8700-18500 მპა, რაც მეტია წილაპერზაბეტონის ნორმატულ მაჩვენებლებზე.

1350 კგ/მ³ ზოგადი სიმკვრივის წილაპერზაპერლიტბეტონის თბოგამტარობის კოეფიციენტი არის 0,56 გტ/მ⁰C. 2,5-3 კლასის წილაპერზაპერლიტბეტონმა გაუძლო გაყინვა-გალხობის 25 ციკლს; მისი დარბილების კოეფიციენტია 0,75 კოეფიციენტით.

აგლოპორიტპერლიტბუჭონი: ასეთი სახის ბეტონი დამუშავებულია მინსკის საშენი მასალების აგლოგით ინსტიტუტში. ბელარუსში აგლოპორიტის დიდი მარაგის გამო შემვსებად გამოყენებულ იქნა აგლოპორიტის დორდი, ზოგადი სიმკვრივით 700 კგ/მ³ და ორი მასითი კატეგორიის 150 და 300 კგ/მ³-ის აფუებული პერლიტის ქვიშა. მძიმე და მსუბუქ პერლიტის ქვიშაზე დამზადებული აგლოპორიტპერლიტბეტონები ხასიათდებიან პრაქტიკულად ერთნაირი ზოგადი სიმკვრივით, რადგან მსუბუქი ქვიშის მოხმარებისას, სასურველი სიმტკიცის მისაღებად საჭიროა გაიზარდოს ცემენტის ხარჯი, რაც ბეტონის ზოგადი სიმკვრივის მატებას იწვევს. უფრო მსუბუქი აგლოპორიტის დორდის (ზოგადი სიმკვრივე 400 კგ/მ³) გამოყენება კი ამცირებს ბეტონის მასას 10-15%-ით. მიღებულია 5-20 მკა სიმტკიცის, 930-1265 კგ/მ³ ზოგადი სიმკვრივის აგლოპორიტბეტონი, 170-430 კგ/მ³ ცემენტის ხარჯით. თანაფარდობა პრიზმულ და კუბურ სიმტკიცეებს შორის 5-10 მკა სიმტკიცის ბეტონებს შორის 0,83-ია, ხოლო 15-20 მკა სიმტკიცის ბეტონებს შორის 0,88. აგლოპორიტპერლიტბეტონის სიმტკიცე ღუნვაზე და გაჭიმვაზე მძიმე ბეტონთან შედარებით 20%-ით ნაკლებია. 5-20 მკა სიმტკიცის აგლოპორიტპერლიტბეტონის საწყისი დრეკადობის მოდული რამდენადმე მაღალია, ვიდრე 300-700 კგ/მ³ სიმკვრივის, ფორიან შემვსებებზე დამზადებული მსუბუქი ბეტონისა. პუასონის კოეფიციენტი 0,16-0,2-ია. ზღვრული კუმშვადობა იზრდება ბეტონის კლასის ზრდას-

თან ერთად და შეადგენს 5 მპა სიმტკიცის აგლოპორიტპერლიტბეტონისათვის $1,08 \times 10^{-3}$ და 20 მპა სიმტკიცის ბეტონისათვის – $2,1 \times 10^{-3}$. ზღვრული ჭიმვადობა დაახლოებით $10\text{-}15$ ნაკლებია და უდრის $0,14 \times 10^{-3}$.

აგლოპორიტპერლიტბეტონის მოცულობის ზრდა მიმდინარეობს 160-200 დღის მანძილზე. დეფორმაცია ამ დროს შეადგენს 0,02-0,06 მმ/მ-ს. 20 მპა სიმტკიცის ბეტონის შეკლება აღწევს 0,55-0,39 მმ/მ-ს. აგლოპორიტპერლიტბეტონის წრფივი გაფართოების კოეფიციენტი $20-60^{\circ}\text{C}$ ტემპერატურის დროს შეადგენს $10 \times 10^{-6}-12 \times 10^{-6}$. 5-15 მპა სიმტკიცის გამომშრალი აგლოპორიტბეტონის თბოგამტარობის კოეფიციენტი $0,26-0,29$ კკალ/მ 2 ცსთ. ასეთი ბეტონი ყინვამედეგია ცემენტის მცირე ხარჯის ($130-160$ კგ/მ 3) დროსაც კი. ნიმუშები უძლებენ გაყინვა-გალფობის 25 ციკლს სიმტკიცის კლების გარეშე. ყინვამედეგობის კოეფიციენტი ტოლია 0,81 – 0,94.

ქსფბოლისტიროლპერლიტბეტონი: ამ სახეობის ბეტონში მსხვილ შემვსებად გამოიყენება 40 მმ მაქსიმალური სისხოს აქაფებული ქაფპოლისტიროლი, სიმკვრივით 25 კგ/მ 3 , წვრილ შემვსებად გამოიყენება ორი ადგილმდებარეობის პერლიტის ქვიშა: არაგაცის – ზოგადი სიმკვრივით 95 კგ/მ 3 , მაქსიმალური სისხოთი 1,2 მმ (აფუებული შახტურ დუმელში) და მუხორ-ტალინსკის – ზოგადი სიმკვრივით 250 კგ/მ 3 (აფუებული პორიზონტალურ დუმელში), ზღვრული სისხო 5 მმ.

არაგაცის პერლიტის ქვიშა – წვრილმარცვლოვანი, 0,14-0,63 მმ ფრაქციის შემცველობა შეადგენს 55,5% (მოცულობის მიხედვით), ამასთან 0,14მმ-ზე ნაკლები ფრაქციის შემცველობა ტოლია 27,4%. მუხორ-ტალინსკის პერლიტის ზღვრული სისხოა 5მმ, მოცულობის 50%-ზე მეტს შეადგენს 1,2-2,5 მმ ფრაქცია. აქაფებული ქაფპოლისტიროლი შედგება 5-20 მმ ფრაქციისაგან – 68% (მოცულობის მიხედვით). მინიმალური სისხო არის 1,2 მმ.

საცდელი ნიმუშები დამზადებულია სხვადასხვა გრანულომეტრული შედგენილობის შემვსებებზე: აფუებული პოლისტიროლის შემცველობა იცვლება 25-დან 60%-მდე მოცულობის მიხედვით შემვსებების საერთო ხარჯიდან. ცემენტის ხარჯმა შეადგინა 200-400 კგ/მ³, წყლის ხარჯმა კი – 230-280 ლ/მ³; ნიმუშების დაყალიბება ხდებოდა ვიბრო-დაჯორებულით (15-30 გძ/სმ² ძალის მოქმედებით); ნიმუშების გაორთქვლა მიმდინარეობდა 70°C ტემპერატურაზე შემდეგი რეჟიმით: ტემპერატურის აწევა – 3სთ, იზოთერმული დაყოვნება – 8სთ, გაცივება 3სთ. ამგვარად შესაძლებელია მიღებულ იქნას B1,5-B3,5 კლასის და 650-750 კგ/მ³ ზოგადი სიმკვრივის ქაფპოლისტირლიტბეტონი. უმეტესი სიმტკიცით გამოირჩევა მუხორ-ტალინსკის ადგილმდებარეობის პერლიტის აფუებულ ქვიშაზე დამზადებული ბეტონი.

ფენვანი პერლიტბეტონი. თანამედროვე ტექნოლოგიები და ადგილობრივი ნედლეულის მარაგი გვაძლევს საშუალებას დავამზადოთ მეტად რენტაბულური ფენვანი

კონსტრუქციები, კერძოდ ბეტონისა და რკინაბეტონის ორფენიანი ნაკეთობები, რომელთა ფენები უზრუნველყოფს, როგორც თბოსაიზოლაციო, ისე კონსტრუქციულ თვისებებს. ორფენიანი ბეტონის გამოყენების სფერო პრაქტიკულად არ განსხვავდება იმავე სისქის ბეტონის ერთფენიანი კონსტრუქციების გამოყენების სფეროსაგან. ამასთან, ორფენიანი ნაკეთობები მკვეთრად ამცირებენ თბოდანაკარგის აღსადგენ საექსპლოატაციო დანახარჯებს.

მრავალსტადიური ტექნოლოგიით ფენების ცალ-ცალკე დაყალიბების შემთხვევაში, ექსპლუატაციის პირობებში ხშირად ირღვვოდა კონტაქტი ფენებს შორის, რაც მოიხსენდა დამატებით ხარჯებს. ახალი მაპლასტიფიცირებელი დანამატების გამოყენებით, რომლებიც საგრძნობლად უწყობდნენ ხელს ბეტონის ნარევის გათხვადებას, შესაძლებელი გახდა ერთსტადიანი დაყალიბებით ფენოვანი ბეტონის ნაკეთობების მიღება (საავტორო მოწმობა №1488190, 15. XII. 87). ნაკეთობა შედგება კონსტრუქციული ფორიზებული ბეტონის ფენისაგან, რომელიც მზიდ ფუნქციას ასრულებს და აირბეტონის თბოსაიზოლაციო ფენისაგან. ასეთი ნაკეთობის დამზადება წარმოებს მძიმე და მსუბუქი ბეტონის ნარევების არევით, ყალიბში ჩასხმითა და ვიბრაციით. ვიბრირებისას მძიმე ბეტონის ნარევი ჩადის ქვევით და ქმნის კონსტრუქციულ ფენას. ამგვარ ბეტონებში გამოყენებულია, როგორც აფუებული პერლიტის

ქვიშა და დორდი, ისე ჩვეულებრივი კვარცის ქვიშა და ბაზალტის დორდი. მათი ზოგადი სიმკვრივების დიდ განსხვავებაზეა დაფუძნებული განშრევების ფაქტორი.

კვლევებით დადგენილია ბეტონის განშრევების ზღვრები; აგრეთვე შესწავლილია ვიბრირების გავლენა ბეტონის ნარევის მახასიათებლებზე. მაპლასტიფიცირებელი დანამატის გამოყენება ბეტონის ნარევში საშუალებას იძლევა შევამციროთ წყლის ხარჯი, რაც შესაბამისად ცვლის ნარევის განშრევების ზღვრებს, გარდა ამისა იწვევს ბეტონის სიმტკიცის ზრდას. ბეტონის ნარევის განშრევების პირობების შესწავლის საფუძველზე დადგენილი ორფენიანი ფორმიზებული ნაკეთობების შედგენილობები კირქვიშოვან შემქერელზე და ცემენტის გამოყენებით, მათი მახასიათებლების შესადარებლად. ექსპერიმენტში აგრეთვე იცვლება საჭირო წყლის რაოდენობა, ვიბრაციის დრო და გამოყენებული მაპლასტიფიცირებელი დანამატის რაოდენობა. აირწარმომქმნელ დანამატად გამოყენებულ იქნა ალუმინის ფხვნილი ПАК-1 და ПАК-3. ნარევის შედგენილობები მოყვანილია ცხრილ 4.3-ში.

ფენოვანი ნაკეთობების დეფორმაციული თვისებების კვლევებმა გვიჩვენა, რომ ნიმუშების ცალკეული ფენების დეფორმაციები არ განსხვავდება ფორმიზებული ბეტონების დეფორმაციების უკვე ცნობილი მონაცემებისაგან. ფენოვანი პერლიტბეტონი რეკომენდებულია გამოყენებულ იქნას,

როგორც შემომზდუდავ ისე მზიდ კოსტრუქციებში, სოფლის მშენებლობისათვის, კარკასული მშენებლობის ბრტყელი გადახურვისას, სართულშეუა გადახურვისათვის და სხვა.

ცხრილი 4.3

ბეტონის ნარევის შედგენილობები

ბეტონის სახე	თბეტონის გადახურვის და გრანულობის ფარგლების უკეთესობის ფარგლები	მასალის ხარჯი კგ-ში 1 მ³ ბეტონში										გიპროტექტის დრო განვითარებისას, წთ	
		შემკგ- რელი		გირჩევის შრეანი		ქვაშა მისნებილი		ლორდი		დაფუძვლის ქვიშა			
		ცემენტი	ცემენტი	გირჩევის შრეანი	გირჩევის შრეანი	ქვაშა	ქვაშა	ლორდი	ლორდი	დაფუძვლის ქვიშა	დაფუძვლის ქვიშა		
აირსილი- გატი	1 : 2 1 : 2 2 : 1	- - -	486 550 560	425 342 253	757 650 480	300 327 340	359 363 367	2,43 2,75 2,8	0,72 0,79 0,84	3 4 4	1,5 – 2 1 – 1,5 1 – 1,5		
აირბეტონი	1 : 2 1 : 2 2 : 1	293 281 270	- - -	525 394 263	937 703 469	89 133 178	200 194 188	1,46 1,41 1,37	0,68 0,63 0,60	3 4 4	1,5 – 2 1,5 – 2 1,5 – 2,5		

გამოყენებული ლიტერატურა

1. ა. ნადირაძე. ბეტონისა და რკინაბეტონის ნაკეთობათა ტექნოლოგია თბილისი განათლება 1994.
2. ა. ნადირაძე. ბეტონის შემცვების ტექნოლოგია თბილისი 1988.
3. ა. ტატიშვილი. მსუბუქი ბეტონები საქართველო ბუნებრივ და ხელოვნურ შემცვებებზე თბილისი მეცნიერება 1988.
4. ა. ტატიშვილი. საშენი მასალები თბილისი 1990.
5. ლ. ბოლქვაძე. თბოსაიზოლაციო მასალების ტექნოლოგია თბილისი 1985.
6. გ. ტურძელაძე, ზ. ქარუმიძე. წვრილმარცვლოვან ბეტონში ბზარწარმოქმნის პროცესზე მასშტაბური ფაქტორების გავლენა „საშენი მასალები”, თბილისი 2000.
7. ზ. ქარუმიძე, გ. ტურძელაძე. ბეტონისა და რკინაბეტონის ნაკეთობათა ტექნოლოგია. ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი 2006.
8. Alexander A. Poruere D. Yvannusee S. The creep and related properties of very leigh-strenght superplasticized concrete. “Cem and Concrete res 1980.
9. Davis R.E, davi H .E, brown E.U plasticflow and volume charge of concrete. sos. for. Test Mat. Proc. 1987.
10. Humee A, Weshe R, Brand W. Der Einflus der Zement art des wasser verholtviss und der belastung saeters auf das keiechens von beton. “Deutchen Ansschuss jaz stahebeton 1972.
11. ზ. ქარუმიძე, გ. ტურძელაძე. სუბუქი ბეტონის მიღება დურუჯის თიხა-ფიქლის გამოყენებით. თბილისი, 2008.
12. Горлов Ю.П., Меркин А.П. Технология теплоизоляционных материалов. М., Стройиздат, 1980.

13. Горяинов К.Э., Дубенецкий К.Н., Васильев С.Г. Технология минеральных теплоизоляционных материалов и легких бетонов. М., Стройиздат, 1994.
14. Бужевич Г.А. Легкие бетоны на пористых заполнителях. М., Стройиздат, 1989.
15. Симонов М.З. Основы технологии легких бетонов. М., Стройиздат, 1991.
16. Евдокимов А.А., Пфлаумер О.Э. Технология и строительные свойства бетона на естественных пористых заполнителях. М., Стройиздат, 1999.
17. Чистяков А.В. Легкие многослойные ограждающие конструкции. М., Стройиздат, 1987.
18. Самедов А.Л. Перлитокерамические изделия. М. Стройиздат, 1988.
19. Лоладзе В.В., Карумидзе З.И. Способ формования бетонных и железобетонных изделий переменной объемной массы. А.С. № 1488190. М., 1989.
20. Лоладзе В.В., Карумидзе З.И. и др. Сырьевая смесь для изготовления ячеистого бетона. А.С. № 1447802. М., 1988.
21. Будников П.П., Жуков А.В. Производство и применение вспученного перлита. Киев, 1980.
22. Горяинов К.Э., Волкович Л.С. Лабораторный практикум по технологии теплоизоляционных материалов и изделий. Издательство «Высшая школа» Москва-1980.
23. Соков В.Н., Лабзина Ю.В., Федосеев. Лабораторный практикум по технологии отделочных, теплоизоляционных и гидро-изоляционных материалов. Москва «Высшая школа» 1991.

24. Методические рекомендации по технологии производства и применению в жилищно-гражданском, промышленном и сельском строительстве ограждающих конструкций из легких бетонов на основе вспученного перлитового песка. Киев, 1986.
25. ხ. ქარუმიძე, ვ. ბექაიძე. პერლიტის გამოყენება სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნაგებობებში. თბილისი. ქ. ენერგია №3, 2008.
26. ხ. ქარუმიძე, გ. ხარაიშვილი. ქიმიური დანამატების მოქმედება კერამიტოპერლიტობეტონსა და გრანულირებულ წილაზე დამზადებულ წილაპერმობეტონზე. თბილისი. ქ. ენერგია №2, 2010.
27. გ. ტურძელაძე, ხ. ქარუმიძე. ქაფბეტონის წარმოების თანამედროვე ტექნოლოგია. თბილისი. ქ. ენერგია, №3. 2011.

სარჩევი

შესავალი	3
თავი I. პუნქტი ვორიან შემცვებებზე და მსგავს გეტონებზე ჩატარებული კვლევების ანალიტიკური მიმოხილვა	9
თავი II. ვარავნის პერლიტის ზოგადი დახასიათება, აფუებადობა, აფუებული პერლიტის გაზაზე მიღებული შემცვებების გამოყენების შესაძ- ლებლობა მსუბუქ გეტონებში	24
2.1. პერლიტის ზოგადი დახასიათება. პერლიტის აფუება	24
2.2. აფუებული პერლიტისა და მის ბაზაზე დამზადე- ბული ბეტონისა და დუღაბის თვისებები	41
თავი III. პერლიტგეტონის ტექნოლოგიის საფუძვლები	58
3.1. აფუებული პერლიტის შემცვებები (ქვიშა და ღორღი)	58
3.2. შემკვრელი ნივთიერებები	63
3.3. პერლიტბეტონის დასამზადებელი წყალი და ზედაპირულ-აქტიური დანამატებები	69
3.4. პერლიტბეტონის ნაკეთობების დაყალიბება და გამყარება	73
თავი 4. პერლიტგეტონისა და პერლიტის მიზანები დამზადებული შერეული გეტონების ვიზუალურ-ტექნიკური თვისებები	80
4.1. პერლიტბეტონის ფიზიკურ-ტექნიკური მახასიათებლები	81
გამოყენებული ლიტერატურა	106

რედაქტორი: მ. ტურქელაძე

ტექ. რედაქტორი: გ. ნადირაშვილი

კორექტორი: ხ. ლევავა

სელმოწერილია დასაბეჭდად 06.04.12

გადაუცა წარმოებას 04.05.12

გვ. რაოდენობა: 110

ტირაჟი 100

საგამომცემლო სახლი “ჩოხი”